ლომისი

რედაქცია
ტფილისი, ხელოვანთა სახახლე სერგიევის ქ. № 13. ტელ. 17—51.

სამი თვით 200 ათასი მანეთი
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე ნომპარელით: ასი ათასი მ.; ტექსტის შემდეგ: ორმოცდა ათი ათასი მ.

კვირა.
აპრილის 1.
1923.

ფასი 20.000 მ.

№ 31. სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველ კვირეული გაზეთი № 31.

ქართული ენისათვის

ქართულ ენას აქვს, რასაკვირველია, ნაკლულოვანება, როგორც ყოველ სხვა ენას და სხვასაც ყოვლისფერს ბუნებაში, მაგრამ მას აქვს აგრეთვე ბევრი უტყუარი და თვალსაჩინო ღირსებაც.

ბევრსა ჰგონია და მეც მრავალთაგან გამიგონია, რომ ქართული ენა არის მცირე-რიცხოვანი ერის ენა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და არ ღირს მისთვის თავგამოდება და მისი გამაგრება!

ფრიად შემცდარი აზრია, რადგან ვინც ასე მსჯელობს, ის ხედავს მხოლოდ აწინდელს, ეგვიპტელ, ასურელ, ბერძენ-სომეხ და სხვათა და სხვათა გამანადგურებელი შემოსევის გამო კავკასიონის მიწების კალთებზე მიჭყლეტილ პატარა საქართველოს. წინეთ კი ამ ხალხის წინაპარს ეჭირა თითქმის მთელი წინააზია. ის ხალხი იყო მრავალ-რიცხოვანი და მათი მოდგმის მრავალი თემების მიერ ხმარებული კილოკავებისაგან, როგორც ნედლი მასალისაგან, შეისკვნა და გაიჭედა თავისებური, განმარტოებული სხვა ენათა შორის—**ჩვენი ქართული ენა.**

წარმოიდგინეთ ხმელეთის დიდი ნაჭერი, სავსე მდიდარი მცენარეულობითა და ცხოველებითა. მოხდეს „კატასტროფა,“ ხმელეთში ზღვა შემოიჭრას და დააქუცმაცოს (სინამდვილეში ბევრჯერ მომხდარა და უეჭველია, მოხდება კიდეც, მაგ. ინდოეთის ოკეანე, ყოფილი დიდი ხმელეთი) და მხოლოდ ერთი პატარა კუნძული-ღა დარჩეს, მაგრამ ისე, რომ ამ კუნძულზე ყოფილი დიდი ხმელეთის მდიდარი „ფლორა-ფოონის“ ყველა წარმომადგენელი შერჩეს; სწორედ ასეთია აწინდელი საქართველო, ქართველი ხალხი და მისი ენა თავისი ყოველნაირი თავისებურობით, ყოველ მხრივ, უცხო თესლებით, ვით მძლავრი და მრისხანე ტალღებით, გარშემორტყმული.

მართლაც და საინტერესოა გადახედოთ კავკასიის ეთნოგრაფიულ რუქას, თუნდაც მიკერძოებით შედგენილს, როგორც ამას ჩადიოდენ ჩვენი ბატონ-პატრონნი, რუქას, სადაც სხვადასხვა ფერადებით წარმოდგენილია სხვადასხვა ერები. თქვენ თვალ-წინ ბრძოლის ველისთვის მომზადებული საომარი გეგმა გადიშლება. დაჰყურებ ამ რუქას და ასე გგონია, მთავარი „შტაბის“ მიერ შედგენილი საომარი გეგმა გიდევს წინა. მებრძოლთა ერთი მხარე შუაში მოქცეულა, ეს საქართველოა, რუქაზე მწვანე ფერადით გამოყვანილი.

ახლა სინამდვილეს რომ გადავხედოთ, დავინახავთ, რომ საქართველოს უბრძოლია და იბრძოლებს თავისი არსებობის, თავისი თავისებურობის შესანარჩუნებლად. ეს ცხადია, სრულებით ბუნებრივი მოვლენაა, ვინც რა უნდა სთქვას.

მაგრამ კითხვა იბადება, რით და როგორ უნდა იბრძოლოს მან? ხმლით და ხანჯლით?—ხმალ-ხანჯალი უბრალო სამკაული გახდა.

იქნებ არც ისე შორს იყოს ის დრო, როცა დიდი ზარბაზნები მუზეუმების სამკაულებად გახდებიან. და კიდევაც რომ გასტანოს ბევრ ხანს მათ ბრძოლის იარაღად ხმარებამ, საქართველოს ის თავის დღეში ვერ ექნება საკმაო, ყველა მაზე მოსული მტრების მოსაგერებლად.

დაგვრჩენია სხვანაირი ბრძოლა, ბრძოლა კულტურული, სწავლის შეძენა და მისი საქმეში გამოყენება თანხმობით, მჭიდროდ და ერთად მოქმედება, წინდაწინ გათვალისწინებული გზით სიარული... გარკვეული პრინციპი.

და ყველა ამათი მისაღწევი მკვეთრი და შეუდრეკელი იარაღი, ვით მაგარი კარი ციხის კედლის ქვების ერთმანეთთან შემადუღებელი, არის ქართული ენა.

თუ კი დღემდე არსებობს საქართველო, თუ კი მისი საერთო ბანაკის შეიწროებული შუა გული არ გარღვეულა, ეს მხოლოდ ქართული ენის, რუსთაველ-აკაკის თარზე დასაკვრელი ენის წყალობით. თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენს გულ-ჩვილობას (გულუბრყვილობამდე მისულს) ჩვენს ბედოვლათობას, ჩვენს სიზარმაცეს და დაუდევრობას, საქართველოს ხსენება დღეს არ იქნებოდა, ქართული ენა რომ არ იყოს.

ებრაელი მოაშორეს მის საყვარელ სიონს, ის შორს, შორს ცივ პოლონეთის ტყეშია გადახვეწილი. აბრაამის ენა მას დიდი ხანია დაეკარგა და გერმანულ კილო-კავზე დაიწყო საუბარი, მაგრამ ის მაინც ებრაელი დარჩა. სომეხი მოშორდა ეჩმიაძინს, მან ატლანტიდა გადასცურა და ნიუ-იორკის თომეტ სართულიან სახლში მოაწყო სავაჭრო მაღაზია, მას სომხური დაავიწყდა, ლედების და მილედების ენაზე ლაპარაკობს; ის მაინც სომეხია. ვსთქვათ, ქართველმა არ იცის ქართული ენა, ის თქვენ აქვე, ქვაშვეთის საყდრის გვერდით ქვაფენილზე შემოგეყარათ. ბოდიშს იხდის, რომ ქართულად ვერ ლაპარაკობს, რა ქმნას, სხვაგან გაზრდილია. დანარჩენი სხვა რომელი ენაც გინდა, სანსკრიტულიც იცის. გეფიცებათ კი, რომ ის გულით წმიდა ქართველია. ნურაფერი ნუ გჯერათ მისი! მე მისი არც ფიცი მწამს და არც ბოლო მაკვირვებს!

ვინც ქართული არ იცის, ის ქართველი არ არის. ჩემი დასკვნა ასეთია.

საკვირველია, რომ იმათაც, ვინც იცის ქართული ენა, ზოგს ლაპარაკი არ ემარჯვება, ზოგი ორ წინადადებას ქართულად რომ გეტყვის, სამს სხვას, უცხოს მოგახლის. ფიქრობ და გადაჭრით ვერ გიპასუხნია, თუ რა უნდა იყოს ამის მიზეზი!

ჩვენ გვგონია, რომ ჯერ ის, ვინც **ქართველობს, საქართველოში ცხოვრობს** და ქართულად ვერ ლაპარაკობს, ყოველ შემთხვევაში, გაურკვეველი პირია. შემდეგ ის, ვინც იცის, მაგრამ ლაპარაკი არ ემარჯვება, იმას ან ვერ ჩაუხედია საკმაოდ ქართული ენის შნო და ძალაში, ან ეჭვი აქვს მის ღირსებაში, ან ჯერ ვერ განთავისუფლებულა იმ ფსიხოლოგიური სენისგან, რომლის ძალით ყმას თავის ბატონის ყველაფერი კარგი და საუკეთესო გონია; ძნელი ყოფილა ალბათ ასის წლის, და ისიც უხეში უღელი, რომ მისი დანაჭერი წყლული ასე ჩქარა გადიწმინდოს. ეს უკანასკნელი მგონი სიმართლესთან უფრო ახლოა. ბატონის მიბაძვა მას შემდეგაც, როცა ბატონი გადავარდება, ისტორიაშიაც ხშირია. როგორც ცნობილია, ვილაც პუგაჩოვი აუჯანყდა ეკატერინე მეორეს, მომხრეები საკმაო იშოვნა, რამდენიმე პროვინცია ჩამოაცალა მაშინდელ რუსეთს და იქ გაბატონდა. მან მეფური სახლ-კარიც მოაწყო, თუმცა კარიკატურული, მაგრამ ეკატერინეს ყაიდაზე ზედ გამოჭრილი. საგულისხმოა ის, რომ კარის კაცებს შორის ზოგს დაარქვა „პოტიომკინი,“ ზოგს „ზუბოვი“ და სხ., თუმცა პოტიომკინ-ზუბოვები „კერძო, განსაკუთრებულ“ მონდობილობას ასრულებდენ დიდ დედოფალთან და ემელიანე პუგაჩოვს ისინი ამ მხრივ სრულებით არ ეჭირვებოდა. ის მაინც ბაძავდა თავის ნაბატონარს, რადგან მისი უღელი კისრიდან გადააგდო, მაგრამ გონებიდან ჯერ კიდევ ვერ წაეშალა.

იქნებ იგივე მიზეზია, რომ ქართულად მოლაპარაკე კაცი „დვადცატ პიატ ტისიაჩ“-ს რომ გაურევს, თითქო „ოცდახუთი ათასი“ უფრო ძნელი გამოსათქმელი იყოს. ნამდვილად კი გააგონე ის პირველი ფრაზა დასავლეთ ევროპიელს და ნახავ როგორ ქუდ-მოგლეჯილი გარბოდეს და თან უკან იხედებოდეს: ეს რაღაც საშინელება აქაც არ მომსდევდესო.

ასეა თუ ისე ყველა ნათქვამიდან ორი დასკვნა შეუძლებელია. ვინც ქართველობს, სწამს ქართველობა, იმას აუცილებლად უნდა სწამდეს ქართული ენაც. იკითხოს, ილაპარაკოს მშობლიურ ენაზე, პირ-უთვნელად ჩაუკვირდეს მას და ნახავს, რომ ის სხვა მაზე უკეთ „პატენტ“ აღებულ ენას არც სალაპარაკოდ, არ სამეცნიეროდ და არც სასიმღეროდ არ ჩამოუვარდება. ხოლო ჩვენ კი ყველას გვმართებს ამ მხრივ სწორი და **გარკვეული პრინციპი:** დავიცვათ ქართული ენა, გავამაგროთ, გავალამაზოთ და წინ წავწიოთ იგი, რადგან ჩვენი ენა არის ის უხილავი გენია, რომელიც თან ატარებს ქართველი ერის არსებობას.

უიარაღო.

---

† ოვანეს თუმანიანს

ხანჯლის მწვერვალზე აცმული გული
შენს ფერმკრთალ სახეს სევდით იგონებს.
ბედი, ლექსების მზით წახნაგული,
ითვლის გარდაცვლილ ქორონიკონებს.

ჭაღარა—შაქრის ფერფლით ნაფერი.
ტანი აყრილი—ვით ნაზი პალმა.
სიკვდილს დაესწარ, როგორც შაფერი,
როცა სიცოცხლე ვერ მოგესალმა.

თვალებში ცრემლი ღამეს გაათევს:
ვის ვანდო გრძნობა, ვის დაუგეშო!
ქვეყანას ცოდვილს და ნაჯალათევს
ვინ ანუგეშებს, ჩემო ნუგეშო!

წახვალ! გაგყვება ჩვენი წარსული,—
ჩვენი წარსული ჯერ არ გაქრება;
და ღმერთი, წარბებ-ჩამოპარსული,
შენის ღიმილით დაიშაქრება.

გადაიხსნება იმ ქვეყნის კალთა,
მზე დაიხრება, როგორც თაველი,
და ხელში ლანგრით დაგხვდება კართან:
ჰომერი, ფირდუს და რუსთაველი.

ი. გრიშაშვილი.

ლიტერატურული ნიღილიზმი

6.

მესამოცე წლების ქართულ მწერლობაში პირველად ანტონ ფურცელაძემ დაიწყო ნიღილისტური მრწამსის ქადაგება. მაშინდელი საქართველოს საზოგადოებრივ გარემოებაში ეს მოვლენა თავისთავად არ იყო მოკლებული ერთგვარ კომიკურ ელემენტს, მაგრამ არსებითად იგი უფრესად სამწუხარო და დამაფიქრებელი ნიშანი იყო ერთი მხრით ეროვნული ცხოვრების უსახურობის და უფერულობის, ხოლო მეორე მხრით ზერელე, ბრმა, მაიმუნური წამბაძველობის, რაიცა იმავე ეროვნული საზოგადოებრიობის სიდუხჭირეს მოასწავებდა.

ანტონ ფურცელაძემ მოიმარჯვა რუსეთის ნიღილიზმის უკიდურესი ფრთის თვალსაზრისი და შეუდგა ჩვენი ცხოვრების და მწერლობის ერთიანათ გაქიაქებას და უარყოფას. უთუოდ ბევრ უარსაყოფ მხარეს შეიცავდა ჩვენი მაშინდელი წელში გაწყვეტილი ცხოვრება. მაგრამ ანტონ ფურცელაძე მარტო ამის აღნიშვნას არ დასჯერდა. მან არც აცივა, არც აცხელა,—ყოველგვარი კულტურული ღირებულება „საზოგადო სარგებლობის“ სასწორზე გაიტანა და რაც ამ გაშიშვლებულ, ვიწროდ გაგებულ სარგებლიანობის პრინციპს არ უდგებოდა, მოინდომა ყოველივე იმის გაბიაბრუება და გადაგდება.

ან. ფურცელაძე (უმთავრესი ფსევდონიმია ქერელი ბეჟა) მოწადინებულია უარყოს მთელი მაშინდელი მწერლობა და მთელი მაშინდელი (აგრეთვე ადრინდელი) მწერლები. მან დაიწუნა ყველაფერი როგორც „ცისკრის“, სადაც თვითონ სწერდა, ისე „საქართველოს მოამბის“ და მათი მიმდევრების. ცნობილ ცისკრელ მოლაყბეს დაუწუნა და დაუგმო უკანჩამორჩენილობა და კონსერვატორობა—ხალხს ახლაც იმასვე უქადაგებს, რაც ძველად იყო ახალიო („ცისკარი“. 1863. იანვარი). მაგრამ არც ი. ჭავჭავაძე და მისი ორგანო დაინდო—სწავლის მაგივრად გვაწვდიან გაბერილ ფრაზებს, წახალისების მაგივრად—პედანტობას, ერთობისა და სიყვარულის მაგივრად—ამაყობას, შრომის მაგივრად ლაპარაკობენ, საქმის მაგივრად ყვირიანო („ცისკარი“ 1863. მარტი).

მას ისე წარმოუდგენია თავი—თითქოს ყველა უნიჭო და წყალწყალა მწერლები მას, ვითარცა ბუმბერაზს, გარს შემოხვევოდნენ, ქართულ ლიტერატურას ერთიანად კონსერვატორები და რეაქციონერები დაპატრონებოდნენ. ის სულ იმას გაიძახის ლიტერატურა და ლიტერატორები სრულებით არ მისდევენ ხალხის საჭიროებას და ბღაჯნიან ვითამ და შეიტყვეთ, რომ მეც კაცი ვარ და ქვეყანაში ურევივარო („ცისკარი“. 1863. ივლისი „ქართული ლიტერატურა“.)

იგი ჰგმობს როგორც ძველებს ისე ახლებს, როგორც ერისთავს და ორბელიანს, ისე ჭავჭავაძეს და მესხს. მან ამ მხრით გაასწორა ძველი და ახალი თაობა, მათი წარმომადგენელნი ერთს ბანაკში მოაქცია და ერთად მოინდომა მათი წესის აგება მარჯვეთ მოქნეული ნიღილისტური მახვილით. ან. ფურცელაძე, როგორც მართლმორწმუნე ნიღილისტი—სარგებლიანობის მაღიარებელი—მთელი თავის არსებით უარყოფს ხელოვნებას ხელოვნებისათვის. წაბაძულობით ლაპარაკობს ან. ფურცელაძე, თორემ მის მოწინააღმდეგეთა შორის მაშინ ამ პრინციპის დამცველს ვერ აღმოაჩენდით, სანთლითაც რომ გეძებნათ. ყოველ შემთხვევაში ასეთი არ იყო ი. ჭავჭავაძე, არც მისი რომელიმე ლიტერატურული თანამოაზრე, რომელთაც თავგადადებით ებრძვის ფურცელაძე. თვითონ აკაკი წერეთელი, რომელსაც ის ხანდახან მოწყალების თვალით გადახედავს ხოლმე. ადასტურებს იმავე „ცისკარში“, რომ წმინდა ხელოვნების თვალსაზრისით ილ. ჭავჭავაძის ლექსებს არ ექნება დიდი ღირსება, მაგრამ ჩვენც მარტო ხელოვნებას არ ვეძებთ... ჩვენც ვეძებთ ჭკვიან აზრებს და ამას კიდევაც ვპოულობთ ჭავჭავაძის ლექსებში („1865. სექტემბერი. რამდენიმე სიტყვა შესახებ ჩანგურისა“).

ან. ფურცელაძე მაინც გულგაფიცხებული თავისებური სტილით მიმართავს ი. ჭავჭავაძეს და სხვ.:

ჩვენ ცრუ ოცნებაები კი არ გვინდა პოეზიაში,—რით ვერ გაიგეთ, რომ მაგვარის ოცნებებისა, ოხისა და უხის ამათი ლაყაფის და ქადაგებების დროები წავიდნენ,—ჩვენ გვინდა პოეზიაშიაც და ისეც ვხედავდეთ საქმეს, ჭეშმარიტებას, ჩვენი გულის პასუხს, ჩვენი თავის ცნობას, ჩვენს გარშემოს, ჩვენს თვისებას და კუთვნილებას და არა თქვენს ოპიუმისაგან მთვრალის დაგვარს რაღაც რაღაებს, ტაშაუშსა და ვაგლახებსა („ცისკარი“, 1863. ივლისი. „ქართული ლიტერატურა“).

ბუნებრივია, რომ პისარევის და „რუსკოე სლოვოს“ ამყოლს არ მოსწონს ბარათაშვილის პოეზია. ერთი მისი საუკეთესო ლექსთაგანი „შემოღამება მთაწმინდაზე“.—

„ოი, მთა-წმინდავ, მთაო წმინდა,
ადგილნი შენნი,
„დამაფიქრებელნი, ვერანანი
და უდაბურნი“...

მას უვარგისად მიაჩნია, ვინაიდან მას ვერ ამართლებს ვიწრო უტილიტარისტური თეორია სარგებლობისა. მისი აზრით, ამ ლექსის წამკითხველი „ხახამშრალი და გულცარიელი რჩება, რადგანაც აქედან ვერ ამოაქვს გონების მსაზრდოებელი ლუკმა“. ამ ლექსს იგი ადარებს იმ საჭმელს, რომელიც კაცს მადას უხსნის და კუჭს კი არ ეცხობა („ცისკარი“. 1863. მარტი). აქედან ნათლათ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ა. ფურცელაძის კრიტიკული დამოკიდებულება არა ამა თუ იმ ლექსის თუ პოეტის, არამედ საერთოდ მთელი ქართული პოეზიის მიმართ.

ი. ჭავჭავაძეს ხომ ტრედიაკოვსკის და სუმაროკოვს ადარებს ან. ფურცელაძე (თავხედის ფსევდონიმით) „ცისკრის“ 1863 წ. ივნისის ნომერში. იგი ვერ ინელებს ჭავჭავაძეს, როგორც დრომოჭმულს და ავტორიტეტის მაღმერთებელს; მის შემოქმედებას, განსაკუთრებით პოეტურს მიწასთან ასწორებს. ბაზაროვისებური კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს. „მუზას“, „პოეტს“, „ციურ ხმებს“, „გუთნის დედას“ და სხ. ნუ თუ ჭავჭავაძეს არ ესმის ამ გვარი პოეზიის უმსგავსოებაო—კითხულობს ფურცელაძე. ერთს ლექსს ჭავჭავაძისას („მას აქეთ რაკი შენდამი ვსცან მე სიყვარული, ოი, მამულო“) კი განსაკუთრებული სიცალმხრივით არჩევს ნიღილისტი კრიტიკოსი. აი რა შთაბეჭდილებას აღუძრავს მას ლექსის ეს ადგილი:—

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა
მხოლოდ ის არი;
ის არი მხოლოდ სატირალი
და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზე, ამდენ ხალხში
კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი
განუზიარო.

„ერთი ჰკითხეთ უფ. ჭავჭავაძეს, მაშ ვისთვის უკრთება ასე უწყალოდ ძილი, ვისთვის იკლავს თავს, თუ კი მთელს საქართველოში იმისთანა კაცი არ არის, რომ ღირსი იყვეს მაგის აზრის „გაზიარებისა“?.. ერთი ხათრის გულისათვის მაინც გვითხარით: რა გაქვს აგრეთი მძიმე ფიქრი და რასა ჰგრძნობთ იმისთანას, რომ მთელს საქართველოში ერთი არავინ არის ღირსი მაგის გაგონებისა; ერთი, ღმერთი გადღეგრძელებს, თუ ჩვენ—ულირსთათვის არა, შთამომავლობისთვის მაინც წარმოსთქვით ეგ თქვენი მაღალი აზრიო („ცისკარი“ 1863 მარტი).

ასეთი კრიტიკული თავდასხმა მოსალოდნელია იმ მწერლისაგან, რომელიც დაბრმავებულია ნაციონალისტური უარმყოფელობით, ნაციონალური სინამდვილისთვის ვერ გაუყრია თვალი და გულის ჯავრს „დაჭმახებულ პატრიოტებზე“ იყრის.

ან. ფურცელაძე სწერს: „ზღაპრებისა და ტკბილი ლექსების წერის დრო წარვიდა, ახლა დრო არის ჩვენც ბავშობას და ცელქობას თავი დავანებოთ, შევუდგეთ გონების მოძრაობის ფიქრსა, გამოვიდეთ ჩვენი ტკბილი გარინდებული განცხრომიდამა“ („ცისკარი“. 1867 წ. იანვარი. „ჩვენს ლიტერატურაზედ“). აი მისი პუბლიცისტურ-კრიტიკული ლეიტმოტივი, რომელიც ხანდახან თვითონვე ავიწყდება. მან მიუხედავად ასეთი ნიღილისტური კორიანტელის აყენებისა, თვითონ ბევრი დრო შეალია „ტკბილ ლექსების წერას“ (სულ სხვა საკითხია—რამდენად ტკბილ-გასაგონარია ისინი პოეზიის და შინაგანი ჰარმონიის მხრით).

რუსეთში პისარევი „მარხავდა“ პუშკინს და სხვა დიდ პოეტებს, ხოლო მისი ქართველი მიმდევარი კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში, თავს ირთობდა იმავე პუშკინის, ბაირონის და სხვა ტკბილად მომღერალ მგოსანთა „პოეტური გადმოქართულებით“.

ჩვენ ვთქვით და განვიმეორებთ, რომ ან. ფურცელაძე ლოღიკური თანმიმდევრობით ბოლომდინ ვერ მიჰყვებოდა რუსეთიდან ცუდად გადმონერგულ ნიღილიზმს. თავის ხანგრძლივ ლიტერატურულ მოღვაწეობაში სულ

სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის

საბჭო ამით აცხადებს კავშირის წევრთა საყურადღებოთ, რომ აპრილის 12-ს დანიშნულია სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის

წლიური მორიგი კრება

განსახილველი საგნები:

1. მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ.
2. წლიური ანგარიში.
3. საბჭოს წევრთა არჩევა.

მწერალთა კავშირის საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთფეროვანი არაა. მაგრამ ნიჰილისტური სულისკვეთება შემდეგშიაც შერჩა. ამის დამადასტურებელია მისი ლიტერატურული ბრძოლა ს. მესხთან, ნ. ნიკოლაძესთან, გ. წერეთელთან. ის ცოტაოდენი ცვლილებით მეოთხმოცე წლებშიაც იმას იმეორებს არსებითად, რასაც მესამოცე წლებში ქადაგებდა. ის ძველებურად, ნიჰილისტურად აძაგებს პოეზიას, რომელიც „საზოგადო კითხვათა“ გზას უქცევს. იცავს უარმყოფელებას პრინციპიალურად და სხვ. („იმედი“ 1882 ივლისი—აგვისტო. რამდენიმე სიტყვა „ივერიას“).

მაგრამ ან. ფურცელაძე ნათელ სხივსაც ამჩნევს ადრეულ ქართულ მწერლობაში. ეს არის დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, რომელმაც ფურცელაძის სიტყვით „სიძველის და სიცრუვის მქადაგებელთ თავზარი დასცა და ტანში ჟრუანტელი დაუბადა“. როგორადაც არ უნდა დავახასიათოთ ან. ფურცელაძე, ქართული მწერლობის წინაშე მას ყოველთვის განსაკუთრებულ დამსახურებად ჩაეთვლება „სურამის ციხის“ და მისი ავტორის იმ დროინდელი პირველ მნიშვნელოვანი გამოქომაგება. მაგრამ საზოგადოდ ცალმხრივმა თვალსაზრისმა და მეტის არაფრის დანახვამ იგი ლოღიკურ უკულმართობაში ჩააგდო და ჩამოაშორა ხალხის განვითარების მთავარ ნაციონალურ მიმდინარეობას.

აქ არ ვახასიათებთ ან. ფურცელაძეს საერთოდ როგორც მწერალს და საზოგადო მოღვაწეს. ჩვენ გვაინტერესებს უმთავრესად **უარმყოფელობის** ელემენტები მის მსოფლმხედველობასა და მწერლობაში; ამიტომ განზე ვტოვებთ აგრეთვე მის საბუთების მეტყველს რეალიზმის გავრცელების მნიშვნელობას ჩვენში და ყველა იმ სოციალ-ეკონომიურ და საზოგადოებრივ საკითხებს ჩვენი ხალხის და რუსეთის ცხოვრებიდან, რომელთაც განსაკუთრებული ინტერესით და ყურადღებით ეკიდებოდა ან. ფურცელაძე.

ან. ფურცელაძის ძველი აზროვნების და ძველი მწერლობის დაგმობაში, რა თქმა უნდა ბევრი სიმართლე იყო. იგი ცათამდე მართალია, როცა მაშინდელ ქართულ ლიტერატურას „უწყალო დავარდნილობას“ უკიჟინებს. აი როგორ ახასიათებს ის თუნდ იმავე ძველ „ცისკარს“: „საზოგადოებრივ საკითხების ნაცვლად ცისკარი ვარდბულბულს უჟეფდა, მზეს და მთვარეს ასხამდა ქებას... ლექსს ითამაშებდა ვინმე—„ცისკარში“ შეამკობდნენ, თავსაკრავი უხდებოდა ვისმე, უნდა „ცისკარში“ ქება მოგეძებნათ; უყვარდა ვისმე ვინმე, „ცისკარში“ ნახავდით დარდების საჩივარს.“ („ცისკარი“, 1867 იანვარი.)

ეს ყოველივე კარგია, მაგრამ ან. ფურცელაძემ ველარ გაარჩია კარგი ავისგან და ავთან ერთად უარყოფის მორევში ის კარგიც გადაისროლა, რაც შეადგენდა და შეადგენს ჩვენი ხალხის აღორძინების საწინდარს და კულტურულ სიამაყეს. მან ცუდ „დაჭმახებულ პატრიოტებთან“ ერთად ქვა დაუშინა ნამდვილ პატრიოტებსაც, რომელნიც გამაერთიანებელი და გამამთელებელი პროგრამით გამოვიდენ ცხოვრების ასპარეზზედ. განა ილ. ჭავჭავაძემ მიწასთან არ გაასწორა ჩვენი დავარდნილობა, ჩვენი სიბეჩავე და სისაძაგლე? მან არ შეადარა ჩვენი ცხოვრება ხავსმოკიდებულ გუბეს, ჭიაჭუების და ქვემძრომების საბუდარს? იგი არ იყო, რომ თავის „კაცია-ადამიანით“ სამარცხვინო ბოძზე გააკრა თავნება მიცემული უდარდელი მთვლემარე ქართველობა? მაგრამ აქედან ნიჰილისტური, ფურცელაძისებური დასკვნები არ გამოუყვანია. პირიქით, ჭავჭავაძის წარსულის კრიტიკა და უარყოფა—სასოება, ცხოველმყოფელი ნუგეში და შემოქმედებაა კულტურულ-ნაციონალური აღორძინებისათვის. მაშასადამე უარყოფაცაა და უარყოფაც...

პანი.

ანთებული ხეივანი

„და გზა მოვნახე, სადაც სევდის
წყალი მდინარებს“.
ს. აბაშელი

აგერ ათი წელი შესრულდება, რაც აბაშელის „მზის სიცილი“ გამოვიდა.

აბაშელის პოეზია აქ მეტად თავისებურია. არის სამოქალაქო მოტივი, პირადი განცდა, სევდაც, მაგრამ უმთავრესია აღფრთოვანება კოსმიური მოვლენებით და ამ მოვლენათა გამოსახვა მეტად ლამაზ პოეტურ ფორმებში.

აბაშელი აქ ნამდვილი კერპთაყვანისმცემელია ბუნებისა, სადაც უმთავრესი ღმერთი მზე არის. მისი ყოველი სტრიქონი ნამდვილი ლოცვაა მზეზე.

„მზევ მშვენიერო, მნათობთ მეფევ,
ცხოველ-მყოფელო,
სიცოცხლის წყაროვ, საკურთხევლის
ცეცხლო დიადო,
ლაჟვარდ სივრცეში ოქროს სიმთა
ამთრთოლებელო,
სხივოსან ზღვაო, ქვეყნის დილავ,
ცის განთიადო!“

ეს თემა აბაშელმა თუ სრულად არ ამოსწურა, ყოველ შემთხვევაში მან მოგვცა, რისი მოცემაც კი შეეძლო.

ვიწრო გზით სიარული პოეტისათვის დიდი საფრთხეა: ბოლოს და ბოლოს გამეორებას მიმართავს და მოსაწყენი ხდება.

ამიტომ აუცილებელია გზის გაფართოება: ან ახალი გზა, ან სიკვდილი. ასეთია ხვედრი ყოველი პოეტისა, რაც უნდა დიდი იყოს ის.

აბაშელმა შესძლო ამ საფრთხის დაძლევა. ამას ადასტურებს მისი „ანთებული ხეივანი“.

აქ დავისვენებ, შორს მიმავალი,
რომ შემდგომ მეტის გახალისებით
ვიმღერო, ზეცამ რაც დამავალა,
და გავანათო ახალი გზები.

და მართლაც დასვენების შემდეგ პოეტმა მოგვცა მეორე ტომი, სადაც სხვა განცდაა, სხვა თემა, სხვა სულის კვეთება, ვიდრე პირველ წიგნში.

„მე მივყვებოდი სულის ჟრუანტელს
და ვატირებდი გულის თქმას მართალს.

ამ სტრიქონებში არის ერთგვარი დახასიათება მეორე ტომისა.

თუმცა სევდის ჰანგები პირველ წიგნშიც საკმაოდ არის, მაგრამ ეს სევდაც ღიმილიანია და პოეტის აღტაცებული გული ნაზი სიმებით გადმოგვცემს სამყაროს სიდიადეს და ჰარმონიას. მეორე წიგნი უმთავრესად სულის ჟრუანტელია და აკვნესებული გულის თქმა.

ხანდახან პოეტის აღმაფრენა ისევ განვლილ ოცნებებს უბრუნდება და ყურს ატკბობს მშვენიერი ჰიმნი მზის თაყვანისმცემელისა.

„და მზის სიცილის დაღლილმა
შუქმა
ამ წიგნშიც მკრთალად შემოანათა.“

ეს შემონათება საკმაოდ ატყვია „დილის ლოცვას“, „ცისარტყელას“, „წვიმას“, „მზის ამოსვლას“, „ჩემ გზას“. ეს უკანასკნელი ლექსი ამ მხრივ მეტად საყურადღებოა და თან მეტად ლამაზი. იჭვადი იმედი, სევდა და აღტაცება, მუსიკა გლოვისა და სამხიარულო ერთიმეორესა სცვლიან.

აქ ორი აბაშელია,—აბაშელი მზის თაყვანისმცემელი და აბაშელი სევდითა და იჭვით შეპყრობილი. ეს ორი აბაშელი ერთმანეთს ებრძვის და ერთხელ კიდევ იმარჯვებს პირველი:

„და ჩემ წინ დროშად აღიმართა
მზის ძოწეული,—
ათას ფერებით მოლაღადე
ცეცხლის მარაო.
და მე ვლოცულობ: სხივ-დაშრეტილ
დღეთა მპარავო!
შენ დამხსენ წყვდიადს და ამინთე
სული სნეული“.

მთელი პოეზია მეორე წიგნისა ამ სტრიქონებამდე თითქოს ერთგვარი შესავალია: სნეული სული აინთო ახალი ცეცხლით და უწინარეს ყოვლისა მას სწყურია განკურნება. ამ მიზნით ის მიმართავს ჯერ ცეცხლის მახვილს, შემდეგ ცისფერ ყვავილებს. პირველია რევოლიუცია, მეორე სიყვარული.

„და ჩემს გრძნობაში სევდის ალი
რომ კვლავ არ იშვას,
მე გზა მივეცი დაგუბებულს
სულის ქარიშხალს
და ხელთ ავიღე საბრძოლველად
ცეცხლის მახვილი.“

რა თქმა უნდა, აბაშელი უნაზეს გრძნობათა და უწმინდეს განცდათა მგოსანია და არა ბრძოლისა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელი რევოლიუცია—მისი ჩასახვა, დასაწყისი და ქარიშხალი იშვიათის ხელოვნებითა აქვს ასახული.

წითელი ფრინველები—რიჟრაჟია რევოლიუციის.

„წითელმა ფერიამ ცეკვით მოიარა
ზღვები და ხმელეთი.
წითელი ფრინველები
დაჰფრინავენ ჰაერში,
ანთებული ბუმბული
სცვივა ალის ფრთებიდან.
ერთნაირი სიმღერა
ისმის სხვადასხვა ერში.
აგუგუნდა ქვეყანა
ცეცხლის მფრქვეველ მთებითა.“

ცეცხლის მახვილში მოცემულია უტყუარი სახე რევოლიუციისა.

„ქუჩა გაგიჟდა და განგაშებს
ათას ხმიანი.
წითელ ფრინველებს ათამაშებს
ხალხთა მდინარე.
რეკა მოისმის და მეზარე
არ სჩანს ვინ არი,
რისხვის მახვილი დათარეშობს
ხალისიანი.

ძალა უცნობი, მიუწდომი
და უჩინარი
ახალ ქვეყნის ეტლს მიაქროლებს
ცეცხლის ფრთიანი.“

პოეტი აქ ამჟღავნებს ერთგვარ სარწმუნოებრივ შეხედულებას რევოლიუციის წარმომშობ ძალაზე.

„ლღვევა-შვენების ქარიშხალით
ცის შემკირველი,
ყოველთა დროთა წინამძღოლი
ძალა პირველი,
მუდამ წარსული, მუდამ აწმყო
და მომავალი,—
სამყაროს წიგნში იწყებს ბრძოლის
ახალ რვეულსა“.

ფსიხოლოგია რევოლიუციისა პოეტს საუცხოვოდ ესმის:

„და მას წყევას უთვლიან ხშირი
განმეორებით.
მაგრამ რღვევის სტიქიონს
წყევა არ ეყურება.“

თუ რამდენად ზედმიწევნით ჩასწვდა მგოსანი რევოლიუციის ფსიხოლოგიას, ამას ამტკიცებს ლექსი—მებრძოლს. მეტად ნაზი და სათუთი გრძნობის პოეტი აქ შეუბრალებელია და დაუნდობელი, ყოველგვარი დაზოგვა მტრისა უარყოფილია და ყოველივე კითხვის გადამჭრელად მხოლოდ ხმალია აღიარებული. პოეტის სული აქ დაშორდება რღვევის სტიქიონს და მიმართავს მისთვის უჩვეულო სფეროს—ცისფერი ყვავილების ბაღს. ბაღს სიყვარულისას. ამ ბაღში პოეტი მეტად ლამაზი, ტკბილი, ნაზი, წმინდა და მომხიბლავია, ხან ბავშვით გახალისებული, აღფრთოვანებული, გატაცებული, ხან ტკბილი სევდით, ხან მწარე უიმედობით აღსავსე. სიყვარულის განთიადი, შუადღე და საღამო, სიყვარულის გაღვივება, გაფურჩქვნა და დაჭნობა იშვიათის სიცხადითა და სულის დამატკბობელი მუსიკითა აქვს გადმოცემული,

„ცისფერ ყვავილებში“ შეყვარებული სულის ყოველგვარი რხევაა აღბეჭდილი. ალაგ-ალაგ—თუნდაც მე-50 გვ.—პოეტი მოგვაგონებს გრიშაშვილს. მაგრამ ეს მსგავსებაა მხოლოდ თემაში, გაშუქება და განცდა სრულებით სხვადასხვა გვარია.

აბაშელის გალობა სიყვარულისა—ეს არის ლოცვა შეყვარებული სულისა.

გრიშაშვილს კი უფრო ეხერხება ბორგვა შეყვარებული სულისა და ყვილი შეყვარებული ხორცისა.

გრიშაშვილის სიყვარული უფრო ხორციელია, აბაშელისა—უფრო ზეციური.

შიშველი სხეული მეტად მომხიბლავია გრიშაშვილის პოეზიაში. აბაშელი კი წმინდა ბერივით გაურბის შიშველ სხეულს!

„გშვენოდა ტანის სიშიშვლე,
ვით უცოდველსა ევასა.
და გარს მეხვევა სირცხვილი,
ვით სამოს—შემოხვეულსა.
სანამ შორს იყავ,—გეძახდი,
მხიბლავდა შენი სახელი,
ახლა შენთან მყოფს, დარცხვენილს,
რად მტანჯავს ჩუმი ნაღველი?
ნეტავ თვალს რისთვის ვარიდებ
აქამდის ნანატრ სხეულსა?!.“

სიყვარულმა არ იცის სირცხვილი,—აქ უფრო ბუნებრივია გრიშაშვილი; მაგრამ მაინც სიყვარულს ორი სახე აქვს,—გრიშაშვილს უფრო იზიდავს ერთი, აბაშელს—მეორე.

აბაშელის სიყვარული ვნებას გაურბის, ის უფრო წმინდა ოცნებაა, ლოცვაა:

„შენი სურვილი ჩემს ოცნებას
ეურჩებოდა,
და ჩემი გრძნობა უკუქცეულ
ლოცვად რჩებოდა“.

განიკურნა ცისფერი ყვავილების წალკოტში პოეტის სნეული სული?

არა მგონია.

„აქ სხვა ცეცხლი დაენთო
და ფიქრებიც სხვა იშვა:
სიყვარული—ელვაა, სცოცხლობს
წუთით, დროებით.“

აი რა დასკვნა გამოიტანა პოეტმა ცისფერი ყვავილების ბაღიდან. მარტოდ მარტო დარჩენილი მგოსანი ისევ თავის სევდას უბრუნდება, მაგრამ ახლა ეს სევდა დამძიმებულია ცხოვრების ტვირთით, განვლილი გზით და გამოცდილებით. თუ უწინ პოეტი მიეცემოდა სევდას,—

„ეგ იყო სევდა სხვა ნაირი,
სევდა მზიანი
იმედ-გახსნილი და თვით ცრემლეში
ხალისიანი“.

ახლა კი პოეტის სევდა უფრო ღრმა და ძლიერია.

„სული შემექნა უიმედო
და ნაღველიანი.“

და აი, ამ ნაღველსა და უიმედობას პოეტი მიჰყავს უკანასკნელ კარებთან, იმ კარებთან, რომლის შეღებასაც ამაოდ ცდილობდა ბარათაშვილი.

როგორც ბარათაშვილს, აბაშელსაც სწყურია ცის სასწაულის ამოცნობა:

„მაგრამ მოსწყურდა სულს უჩვევი
ცის სასწაული.“

ცის სასწაულს იყო მოწყურებული ბარათაშვილიც.

„მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების
საწუთროება,
გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს
სადგურს“,—

მიმართავდა ბარათაშვილი ცას.

„სულს ესიზმრება უფსკრულს იქით
სხივთა მკრთომელი.
დროს იქით მყოფი, არც მტირალი
და არც მცინარი,
მარადისობის უდაბნოში
ცეცხლად მდინარი,
იგი უცნობი, უხილავი,
მიუწდომელი“.

მაგრამ ყოველივე ამას შავი კარი ჰფარავს და აბაშელის ტანჯული სული ამაოდ ეჯახება ამ კარებს. აბაშელის პოეზია ლოცვაა და რაც უნდა იყოს მისი ლოცვის საგანი—მზე, წითელი ქაოსი თუ სიყვარული, სულ ერთია,—იმის ლოცვაში სარწმუნოე-

---

ზარატუსტრას წინასწარი თქმა

(თარგმანი გერმანულით)

1.

როცა ზარატუსტრა ოცდა ათი წლისა შესრულდა, მან მიატოვა სამშობლო თვისი და ტბა თვისი სამშობლოისა და წარვიდა მთებში. მუნ განიხარებდა სულიერად და მარტოობით, ხოლო ათ-წლის განვლილმა მანძილმა ვერ მოჰქანცა იგი. მაგრამ ბოლო დროს ეცვალა გული და აი, ერთხელ დილით, გარიჟრაჟთან ერთად წამოდგა, მზეს გაუსწორდა და ასე ეტყოდა მას:

„დიდო მნათობო! რა უნდა ყოფილიყო ბედნიერება შენი, თუ ისინი არა გყოლოდნენ, ვისაც შენ უნათებ!

ათი წელია რაც მიმოხვალ ჩემს მღვიმის თავზე: თავს მოგაძულებდა სინათლე შენი და გზა შენი, თუ არ გყოლოდი: მე, ჩემი არწივი და გველი ჩემი.

გარნა ყოველთვის მოგელოდით დილ-დილაობით, შენგან ვიღებდით მონაჭარბებს და ამის გამო გაკურთხევდით.

შეჰხედე ერთი! ისე განვძეხი ჩემი სიბრძნით, როგორც ფუტკარი, რომელმაც მრავალი თაფლი წამოჰკრიფა; ეხლა ხელნი-ღა მეპირება, რათა ჩემსკენ გამოაწოდონ.

მსურის განვილო და განვანაწილო იგი, ვიდრე ბრძენნი ხალხთა შორის კვლავ განიხარებდნენ თვის სიგიჟით, ხოლო ღატაკნი—სიმდიდრითა.

ამიტომ მეც შენებრ უნდა ჩავიძირო სიღრმეთა შორის: ვითარ ჩვეულ ხარ ყოველ მწუხრზე, ზღვის გარდაღმა მხარზე რომ მიხვალ და მიგაქვს სინათლე შენი სამყაროს ფსკერ ქვეშ, ჰოი შენ, ზესიმდიდრით აღვსილო მნათობო!

მეც შენებრ უნდა **გადავიხარო**, როგორც ადამიანები ამბობენ, სწორედ იმათკენ, ვისთანაც ეხლა მივეშურები.

მაშ მაკურთხევდე, მშვიდო თვალო, რომელსაც ძალგიძს შეუშფოთველად უმზირო უსაზღვრო ბედნიერებას.

აკურთხე სავსე თასი, რომელსაც ჰსურს დაცარიელდეს, რათა მისგან გადმოიღვაროს ოქროს წყალი და ყველას მოჰმადლოს ანარეკლი შენი სიხარულისა!

შეჰხედე ერთი! თასს კვალად ჰსურს გამოიცალონ და ზარატუსტრასაც მოესურვა კვლავ კაცად ყოფნა.“

— ასე დაიწყო ზარატუსტრას გარდახრა.

2.

მარტოდ დაეშვა ზარატუსტრა მწვერვალებიდან, ხოლო გზათ არვინ შეჰხვედრია. მაგრამ ტყეში შესვლისას უეცრივ მის წინ ერთი მოხუცი აიმართა, რომელსაც სალმრთო ქოხი მიეტოვებინა და ტყეში ფესვების მოსაკრებათ გამოსულიყო.

„ჩემთვის უცხო არაა ეს მგზავრი: კარგახანია რაც აქეთკენ გამოიარა. ზარატუსტრას ეძახდნენ მას. ეხლა კი ძალზე გამოცვლილა.

მაშინ მთებში მიგქონდა ნაცარი შენი, ნუ თუ მოგესურვა, რომ ცეცხლი ბარს ჩამოუტანო? არ გეშინიან, ცეცხლის მომკიდებელთა სასჯელი რომ მოგაგონ?

დიახ, მე ვცნობ ზარატუსტრას. ნათელი არის თვალი მისი და ბაგეზეც ზიზღის ნაოჭი არ აჰკვრია. განა ამიტომ არაა, რომ მოცეკვარივით მოაშურებს?

გამოცვლილია ზარატუსტრა, ბავშვი გამხდარა ზარატუსტრა, გაუღვიძნია ზარატუსტრას: მაშ რაღა გინდა მძინარეებთან?

როგორც ზღვაში, ისე სცურავდი მარტოობის მსრბოლავ ზვირთებზე, ზღვაც დაგატარებდა. ეჰა, ხმელეთი მოგესურვა? ეჰა, კვალად გსურს, რომ ათრიო ეგ შენი ნეშტი?“

ზარატუსტრამ უპასუხა: „ადამიანები მიყვარს“.

„რიღასთვის ვეტრფოდი ტყესა და მარტოობას? —განაგრძო წმიდანმა: იქნებ იმიტომ, რომ ადამიანები არ მიყვარდა?

ეხლა კი ღმერთი მიყვარს: ადამიანები გადვიყვარე. ჩემთვის ადამიანი დაუმთავრებელი რამეა. ადამიანის სიყვარული გადამიტანდა.“

ზარატუსტრამ უპასუხა: „რას ვაქნევ სიყვარულს! ადამიანებისთვის საჩუქარი მიმაქვს.“

„მათ ნურას მისცემ,—უპასუხა წმიდანმა. ისევ იმათ აართვი რამე და მათთან ერთად წამოიღე—ეს უკეთესია მათთვის: თუ კი ეს თვით შენც გეამება!

და თუ მაინც გსურს მისცე რამე, მოწყალებაზე მეტს ნურას გაიმეტებ, ისიც აცადე, რომ ჯერ გთხოვონ!“

„არა,—უპასუხა ზარატუსტრამ,—მოწყალებას ვერ გავიღებდი. ამისთვის საკმაოდ ღარიბი არა ვარ.“

წმიდანს გაეცინა ზარატუსტრაზე და ასე უთხრა: „მაშ ეცადე, შენი საუნჯენი მაინც აალებინო! მათ აითვალწუნეს განდეგილები და არცა სჯერათ, თუ ხალხის დასაჩუქრებაც შეგვიძლიან.

ჩვენი ფეხის ხმა მეტად ეუცნაურებათ ქუჩებზე. და თუ ღამით, მზის ამოსვლამდე, სარეცელში წოლისას ფეხის ხმას მოჰკრეს ოდნავ ყური, უმალვე გულს ეკითხებიან: აქ სად მოიპარება ეს ქურდი?

ნუ მიხვალ ადამიანებთან, კვლავ ტყეში დარჩი! უმჯობესია ისევ ცხოველებს დაუბრუნდე! რად არ გინდა შენც ჩემსავით იყვე,—დათვი დათვთა შორის და ფრინველი ფრინველთა შორის?“

„წმიდანი რაღას აკეთებს ტყეში?.. ჰკითხა ზარატუსტრამ.

წმიდანმა უპასუხა: „საგალობლებს ვადგენ და შემდეგ ვგალობ, ხოლო როცა, საგალობელს ვადგენ, ვიცინი, ვტირი და ვჩურჩულებ: ასე ვადიდებ ღმერთს.

გალობით, ტირილით, სიცილით და ჩურჩულით ვადიდებ ღმერთს, ჩემს საკუთარს ღმერთს! შენ რაღა საჩუქარი მოგაქვს ჩვენთვის?“

როცა ზარატუსტრამ ეს სიტყვები გაიგონა, თავი დაუკრა წმიდანს და ასე უთხრა: „რა მქონდა თქვენთვის მოსაცემი? ნება მომეცი, ჩქარა გაგშორდე, რომ არაფერი აგართვათ.“—ასე დაშორდნენ ერთმანეთს მოხუცებული და ადამიანი, ისეთი სიცილით, თითქოს მოხითხითე ბავშვები ყოფილიყვნენ.

ხოლო როცა ზარატუსტრა მარტოდ დარჩა, ასე მიჰმართა თავის გულს: „ნუ თუ შესაძლებელია! ამ მოხუც წმიდანს ამ ტყეში ჯერაც არ ჰსმენია, რომ **ღმერთი უკვე მიიცვალა!**“

3.

როდესაც ზარატუსტრა ტყის მახლობლად მდებარე ქალაქში ჩავიდა, უამრავი ხალხი ნახა, რომელთაც თავი მოეყარათ მოედანზე: ვინაიდან მათთვის აღეთქვათ, რომ თოკზე მოთამაშეს ნახავდნენ იმ დღეს. ზარატუსტრაც ასე ეტყოდა ხალხს:

მე თქვენ გასწავლით ზეკაცს. ადამიანი არის რაღაც, რაც ამაღლებულ უნდა იქმნეს. თქვენ რაღა აკეთეთ, რომ ადამიანს ამაღლებოდით?

დღემდე ყოველი არსი თავისზე მაღალს რამეს ჰქმნიდა: თქვენ კი გსურთ ამ უდიდეს ტალღის უკუქცევად გარდიქმნეთ და უფრო ცხოველებს დაუბრუნდეთ, ვიდრე ადამიანს აღემატოთ?

რა არის მაიმუნი ადამიანისთვის? მხოლოდ დაცინვა, ანუ მქეჯნავი სირცხვილი! იგივე უნდა იყოს ადამიანი ზეკაცისთვის: მხოლოდ დაცინვა ანუ მქეჯნავი სირცხვილი.

თქვენ განვლეთ გზა მატლიდან ადამიანამდე, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ შეგრჩათ მატლისა. ოდესღაც თქვენ მაიმუნები იყავით და ეხლაც ადამიანი ბევრად უფრო მაიმუნია, ვიდრე რომელიმე მაიმუნი.

თვით ისიც კი, ვინც თქვენში ბრძენად აღიარეს, მხოლოდ შეუმზგავსებელი რამაა, რაღაცა საშუალო რამ მცენარისა და მოჩვენების შუა. მაგრამ განა იმისთვის მოგიწოდებთ, რომ მცენარეთ ანუ მოჩვენებათ გარდიქმნეთ?

აჰათ, მე თქვენ გასწავლით ზეკაცს!

ზეკაცი არის თვითონ აზრი დედამიწისა. თქვენმან ნებისყოფამაც სთქვას: დაე, ზეკაცი **იყოს** აზრი დედამიწისა!

გაფიცებთ, ძმანო ჩემნო, **ერთგულნი შერჩით დედამიწას** და ნუ გჯერათ მათი, ვინც ზემიწიერის აღთქმით გაიმედებენ! ისინი მომწამვლელნი არიან, მიუხედავად იმისა—უწყიან ეს თუ არა.

სიცოცხლის მოძულენი არიან ისინი, მკვდარნი და საკუთარ თავის მომშხამველნი, ვისგანაც მიწა მოიქანცა: დაე, თვისი გზით იარონ მათ!

ოდესღაც ღვთის გმობა უმაღლეს გმობათ ითვლებოდა, მაგრამ ღმერთი მიიცვალა და მასთან ერთად ღვთის მაგინებელნიც მიიცვალნენ. ეხლა თუ რამე არის შემზარავი, ესაა გმობა დედამიწისა და თაყვანისცემა განუჭვრეტელის არსებისა, ვიდრე დედამიწის უზენაესი აზრისა.

ოდესღაც სული სხეულს ზიზღით შეჰყურებდა: და არღარა იყო უმაღლესი თვინიერ ამა ზიზღისა:—მას ჰსურდა იგი ყოფილიყო ჩამომხმარი, საზიზღარი და დამშეული. ასე ივლტოდა იგი სხეულისა და დედამიწისგან.

ოჰ, თვით სული იგი იყო მჭლე, საზიზღარი და დამშეული: ქედფიცხელობა შეადგენდა ამა სულის ვნებიანობას.

მაგრამ თქვენც, ძმანო ჩემნო, მითხარით სწორი: რას გაუწყებთ ხორცი თქვენი სულის ყივილზე? ნუ თუ ეგ სული თქვენი არაა სიღატაკე, სიმყრალე და საბრალო თვითკმაყოფილება?

ჭეშმარიტად, ადამიანი მხოლოდ ბინძური ნიაღვარია. უნდა ზღვად იქცე, რომ ბინძური ნიაღვარი შეირთო და არ მოისვარო.

აჰათ, მე გასწავლით ზეკაცს: იგია ეს ზღვა, რომელსაც შეუძლიან ჩანთქას თქვენი უმაღლესი მძულვარება.

რაა ყველაზე უდიდესი, რაც შეიძლება თავს გადაგხდეთ? ესაა ჟამი უმაღლესი მძულვარებისა. ჟამი, როდესაც თვით თქვენი ბედნიერება საზიზღრობად გარდაიქმნება, როგორც ეგ თქვენი კეთილ-გონიერება და სათნოება.

ჟამი, როდესაც იტყვით: „რაა ბედნიერება ჩემი! მხოლოდ სიღატაკე, ჭუჭყი და საპყარი თვითკმაყოფილება. მაგრამ ჩემმან ბედნიერებამ თვითვე უნდა დააკანონოს თვის არსებობა!“

ჟამი, როდესაც იტყვით: „რას ვაქნევთ გონიერებას! თუ ოდესმე მეცნიერებისთვის ყოფილა დამშეული, როგორც ლომი საზრდოსათვის? მაგრამ იგიც სიღატაკეა, ჭუჭყი და საპყარი თვითკმაყოფილება.“

ჟამი, როდესაც იტყვით: „რას ვაქნევ ჩემს სათნოებას! მან ჯერ კიდევ ვერ გამახელა. რა რიგად მოვიქანცე ესოდენ სიკეთითა და ბოროტით! ყოველი ეს სიღატაკეა, ჭუჭყი და საპყარი თვითკმაყოფილება!“

ჟამი, როდესაც იტყვით: „რას ვაქნევ სამართლიანობას! მე არ ვხედავ, რომ აღგზნებული ალი ვიყო, ანუ ნახშირი. მართალი კი აღგზნებული ალი და ნახშირია!“

ჟამი, როდესაც იტყვით: „რას ვაქნევ სიბრალულს! განა სიბრალული ის ჯვარი არ არის, რომელზედაც პირველად მას აკრავენ, ვისაც ხალხი მეტად უყვარს: მაგრამ სიბრალული ჩემი არ არის ჯვარცმა.“

გითქვიათ როდისმე ასე? აღმოგხდომიათ ასეთი კივილი? აჰ, ერთხელ მაინც გამეგონა მზგავსი ძახილი!

არა ცოდვა თქვენი—არამედ თქვენი კმაყოფილება ჰკიოდა ცისკენ, თქვენი სიძუნწე თქვენსავე ცოდვაში გაჰკიოდა ცისკენ!

სადაა მერე ის ელვა, რომელიც ენით აგლოკავდათ? სადაა ის სიშმაგე, რომლის აცრაც გჭიროდათ ყველას?

აჰათ, მე გასწავლით ზეკაცს: იგია ეს ელვა, იგია ეს სიშმაგე!“

ვიდრე ზარატუსტრა ასე ამბობდა, ხალხიდან ვიღამაც დაიძახა: „უკვე ბევრი რამ მოვისმინეთ თოკზე მოთამაშის შესახებ; ეხლა გვაჩვენონ თვით ჯამბაზი!“ და ყველამ სიცილი დააყარა ზარატუსტრას. მაგრამ თოკზე მოთამაშეს ასე ეგონა, თითქოს ეს სიტყვები მას ეკუთვნოდა და ხელი მიჰყო თავის საქმეს.

4.

გარნა ზარატუსტრა ხალხს შეჰყურებდა განცვიფრებით. შემდეგ ასე ეტყოდა მათ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრივი შეგნება და წყურვილი ისახება. რევოლიუციის ქარცეცხლში მას ესახება პირველყოფილი შემომქმედი ძალა. ფილოსოფიურ ძიებას სევდიანი სულისას ის მიჰყავს უცნობ, უხილავ, მიუწდომელთან.

მისწვდება მგოსანი მიუწდომელს?

შესაძლებელია, ამის პასუხი მოგვცეს მესამე წიგნმა:

„მესმის ქუხილი, უკვე დროც არი
გაიხსნას კარი უფსკრულისაკენ.
აენთოს ხაზი გასაოცარი
და გაბზარული გამოჩნდეს სარკე.“

„ანთებული ხევანი“ სარკეა აბაშელის ანთებული, მოუსვენარი და მუდამ მაძიებელი სულისა. ამ სარკეში ყოველი ჩვენგანი დაინახავს ნაწილს საკუთარი სულისას, საკუთარ ძიებას, საკუთარ ტანჯვას, იმედს, იჭვებს, უიმედობას.

თუ „მზის სიცილში“ ფორმა არ იყო დამთავრებული, მეორე ტომში ამ მხრივ დიდი მიღწევაა, დიდი გამარჯვება. აბაშელის პოეზია მდიდარია მუსიკით და მისი მუსიკა ჰარმონიულად არის შეკავშირებული შინაარსთან. მეორე ტომი აფერადებულია ახალი რითმებით. ყოველი რითმა პოეტისა ქალწულის სინაზეს და უმანკოებას ატარებს.

„მზის სიცილის“ წინასიტყვაობას მე ასე ვათავებდი:

„პოეტმა მეტად მოხდენილად, მეტად კარგათ და ლამაზად დაიწყო და თუ ამგვარადვე განაგრძო ფრიად საპატიო ალაგს დაიჭერს ჩვენს მწერლობაში“.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ აბაშელმა უკვე დაიკავა საპატიო ალაგი ჩვენს ახალ პოეზიაში.

ივ. გომართელი.

საუბარი უბედურ ლანდთან

ლექსი III.

შენ იდუმალო და უსავანო
შემოდი ლანდო—კარია ღია.
ჩემთა ჭმუნვათა მუნჯო საგანო,
შენს მსხვერპლად ფიქრი აწ გამიღია!

—მოვედ ლტოლვილი საღამოიდან,
სალამი შენდა ჩემებრ მთვარეულს!

—მშვიდობის წამებს ჩემთვის მოიტან
თუ მღელვარებას სახე არეულს?

—მე უფსკრულების ჩრდილი მაკლია.
მითხარ: იმედი რა უყავ ხვალის?

—ჩემი იმედი ნისლის კვამლია,
ბურუსში ჩაწვა ხალისი თვალის.

—რად აატირე მწუხრის გედებათ
სული—ცეცხლების ისრით ნაგვემი?

—არის ჰანგებით დაიმედება,
მაგრამ სიმშვიდის დაინგრა გემი.

—იქნებ სურვილში ჩავიდა წყლული
და გაიშალა შხამის იებათ?

—არა, შუადღე—შუბლ დასისხლული
იქცა ღამეთ და შურისძიებათ.

—იქნებ დაჭლექდა ნორჩი სურვილი
და დაეუფლა შავი ჩვენება?

—მიჰყვება ღამეს დრო სიძულვილის,
ცრემლების ტბები და შეჩვენება.

—გაენდე მთვარეს—ღამე კრულია
მთვარის სივრცეთა თეთრია გარსი?

—ჩემი წამება დამალულია
სისხლიან ქარში, სისხლიან ქარში!

—თვალებით რისთვის დააღრე ვარდი
და დააღონე სიკვდილის ალი?

—ღამემ დაადრჩო თვალების დარდი
და დაიღუპა იმედის კვალი.
ლანდო! მისნად ხარ ჩემთან მოსული,
მითხარ, სად არის ცა მყუდროების?

—იქნები მუდამ გარემოცული
უდაბნოებით—უდაბნოებით!

ხარიტონ ვარდოშვილი.

ო რ ი შ ა ი რ ი

1—ძველი ფანდური.

ძველი ფანდურიც კარგია,
სხვა და სხვა დასაკრავიცა,
რაც ჩვენ ყოფობას არგია,
საფიქრო, სამოსავიცო.
თვალის ილეთი წარბია,—
კბილით იცოხნის კრავიცა,—
გონება გულის ორბია,
ყორნის ბუდეა თავიცა.
ერთისა ხისა მორგია,
იგი—კარგიც და ავიცა...
როს ჩავალ ჭმუნვის ღელესა,
შავები მინდა ჩავიცვა,
მზე მოეფინოს ველებსა,—
მთაზე აცორდეს ნავიცა!
წყალი ვერ მზიდავს ზოგჯერა
და ცეცხლით მინდა დავიწვა;
შენ მირჩევნიხარ „ჟელესა“
მამაპაპურო ხავიწო!
—„ყინულით ცეცხლთა მზიდველი
ცათა მიუჯე მე ახლო,
მიჯნური გავხდი მსიძველი,
რომ ახლად ვიშვა—ვიახლო;
მზე დავიწუნო სიძველით,
სოფელთა გაღმა ვეახლო!“
ასე იტყვიან ზოგები
დიდთა საყვირთა ბაგითა;
ცოცხებს ისხევენ მოგვები,
ცას გვიბნელებენ ნაგვითა,—
ფრთხება ვარსკვლავთა ჯოგები,
შიშმა სიკვდილი გაქვითა!
ძველი ფანდურის ალყები
კარგია მოსახმაროდა,
გარეთ რომ ეცხოს თალხები—
ნუ გახდით სამასხაროდა;
ააჩქარებენ ბალღები
ხმაცხოვლად საოცარადა,
ყინულიც იყო გალხვები,
იქცევი ცეცხლის ცვარადა.
ნისლს გაშლი, ზეცას მოივლი,
არ ეყუდები ზღვარადა,
იქნები უდაბნოელი,
წამოხვალ ნიავ-ქარადა,
და მაშინ ყველგან ყოველი
გნახავს სურვილზე ჩქარადა!
ფანდური ასე კარგია,
თავის გზით თავის გვარადა;
უსაოდესო დარგია,
ნუ გახდით სამასხაროდა.—
ხან ოდელია დელია,
ხან თუ „ვარადა-ვარადა!“

2—დარდილი გულისა.

მაშინ აღარას ვიტყოდი,
რომ ვიყოთ უმაგონი,
ღვთისა და ქვეყნის უბირი,
წბილნი და შესაძაგონი:—
სატირელ ამეშლებიან,
გამიხშირდება საგონი,—
მინდა სიმართლე ვიყმუელო,—
არვინა მყვანდეს გამგონი!
გამეპარება დუშმანი
თვალჭრელი, როგორც ღადუნი;
გაცოცხლდებიან გულშია
მისგან ჩასხმულნი ჯადონი!
მოსისხლე კერაზე მიზის,
მიცქერის მოძმე მოყვრედა,
ფეხზე შემდგარი შაშხანა
დაჰკიდა დედა ბოძზედა!
ვინ მოიყვანა ჩემს კარზე,
ვინ წამოუძღვა მოგზედა?—
ზოგის მაქვს ცნობა დარილი,
იჭვებს ვამყივნებ ზოგზედა!
დროება ზღაპარს მიამბობს
უთვალავ მგლების ჯოგზედა,
დავსდგამ ოცნების საყუჩსა
წამოვემხობი ჩოქზედა...

—

ჩემს ქვეყანაში უთვისო
დავდივარ, როგორც ხიზანი,
სად დავასვენო, სად დავსდგა
კალთით ნათრევი მიზანი?!—
ზღვა არ გამჩანდა წვეთადა,
წვეთიც აწ ზღვამდე ვიცანი,
და ჟამთა უსაზღვროებას
თვალის წამწამზე ვიწონი.
ჩემი გზით აღარ დადიან
მოძმენი უხალისონი,
მტერი კი რომ ზის კერაზე
ამას რას არგებს მისანი!..

ვ. ტუქსიშვილი.

ჩვენი მიმდინარე მწერლობა

„ძვირფასი სახე“

საქართველოს სახე იკვეთება „საუკუნეთა გრძელ მანძილზე“ ბრძოლაში. მხატვრულ შემოქმედებას აქ ვერ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა, ჯერ კიდევ არ აქვს თავისი „მეშვიდე დღე“, არ გამოუკვეთია ბოლომდის სახე საქართველოსი, როგორც არ დაუახლოვებია თითონ საქართველოს თავისი ბრძოლის „გრძელი მანძილი“.

ეს „სადღაც ერთი წერტილი“ ინახავს თავის გულში ცისა და ქვეყნისთვის ჯერ კიდევ გამოუცნობელ საიდუმლოს. არავინ იცის, რაშია ძალა რომელიც „ბუმბერაზ მთებს ისვრის მისი გულიდან“ საიდან აქვს ის გამძლეობა, რომელიც ვერ გამოიჩინეს დიდმა ქვეყნებმა, საიდან და რითი ცოცხლობს ისევ, როცა „დაიღუპნენ ქვეყნები ძველი, დიდი ჰელლადა, ბაბილონი და ასურეთი“.

ამ საიდუმლოს ძიებაშია წარსული და აწმყო საქართველოს მხატვრული შემოქმედება.

წარსულშია გრ. ორბელიანის:

— სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერი გულადი, პურადი,
მებრძოლი შავი ბედისა!
შავთა დროთ ვერა შესცვალეს
მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი,
მოყვარე თავის მიწისა“.

წარსულშია ვახტანგ ორბელიანის:

— ვხედავდი ივერს გარდაშლილსა
ჩემ თვალთა წინა,
სიცოცხლის წყაროს გაეღვიძა მის
წიაღს შინა...

წარსულშია ილია ჭავჭავაძის:

— სამშობლო მთებო!..
მე თრთოლვით ვსჭვრეტდი ლაჟვარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს
და შევნატროდი ყმაწვილურად
თქვენს ზემო მხარეს,
სადაც ისმენდით ამაყათა გრიგალთ ქროლასა“...

წარსულშია აკაკის:

— მაგრამ ძნელი ხარ შენ, განსაცდელო,...
შენი მებრძოლი სული ობოლი
ბევრი გვინახავს შვილდებრ ლუნული,
და, რომელიც კი არ მოგლუნვია,
დაგიმტვრევია, როგორც ყინული!!
შემცნეული მაქვს მეც შენი ძალა,
რასაც მიქადის, ვხედავ მე ბედი,
მაგრამ დავიმტვრე, არ მოვიღუნვი,
მსურს მატყუებდეს მისთვის იმედი“!..

აწმყოა ეს წარსული.

აწმყოშია საქართველო
„მებრძოლი შავი ბედისა“

აწმყოშია „ზემო მხარე“ საქართველოსი, სადაც ის „ამაყათ“ ისმენს გრიგალთ ქროლასა“.

აწმყოშია...—„შენ განსაცდელო...
ბევრი გვინახავს შვილდებრ ლუნული,
მაგრამ დავიმტვრე, არ მოვიღუნვი“...

აწმყოს მხატვრული შემოქმედებაც წინდაწინ ხედავს „ივერს გარდაშლილსა... სიცოცხლის წყაროს გაეღვიძნა მის წიაღს შინა“.

იქნება, ამაშია საიდუმლოს ახსნა: იქნება „შავია დროთ“ ტრიალი, გრიგალთა ქროლა“, განსაცდელი,—იქნება, ყველა ეს უარმყოფელი ძალები ჰქმნიან დადებით, დამამკვიდრებელ ძალას, იქნება, ამ უთანასწორო ძალთა ჭიდილშია დასაწყისი იმ „სიცოცხლის ბგერის, რომელსაც ვერაფერს აკლებს შავი „ყვაყორნის“ ნისკარტი.

თითქო საქართველოსთვისაა შემოღებული ბუნების წესი და კანონი, რომ... „სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას“..., რომ... ბოლოს ვიხილოთ ბნელით ნათელი“... რომ „ზამთარი ვერ შეგვაშინებს, თუ გაზაფხულს კი მოველით“... რომ—„მტერი ვით გაგტეხს—მკერდში თუ გაქვს სიმტკიცე რვალის, უტეხი რწმენით გამარჯვებას მარად თუ ელი“!...

ეს იმედი, ეს მოლოდინი, ეს უტეხი რწმენა ბუნებრივი წესი და კანონია საქართველოსი. ეს ამოდის მის გულმკერდზე, როგორც „ბალახი“, როგორც „მშვენიერი ყვავილები“ მთამინდვრებზე, ეს დინდება საქართველოს გულ-მკერდიდან როგორც წყარო მთების წიაღიდან. უამისოთ წარმოუდგენელია ის სახე, რომელსაც ჰქმნის ჩვენი მხატვრული მწერლობა.

ამ ქმნის პროცესში ის ემსახურებოდა შინაარსს და არა ფორმას. როგორც რაბინდრანატ თაგორის გმირი ამბობს: „მისი მღვდელთმსახურება მშვენიერდებოდა, რომელიც ყოველგვარ მშვენიერებას აღემატებოდა თავის სილამაზით.

შინაარსის მშვენიერება თავის თავად იქცეოდა ფორმის მშვენიერებათაც. საქართველოს სახის ძიებაში ჩვენ მხატვრულ შემოქმედებას სწამდა ნიკ. ბარათაშვილის:

— თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს?

„შემთხვევა“ და „ხანი“ ფორმას „დააბერებს“, რაც უნდა ლამაზი და თვალის წარმტაცი იყოს ეს ფორმა, თუ ის „მშვენიერი სულის“, შინაარსის გამომეტყველი არ არის. ფორმის განცალკევება, ლექსის ტეხნიკის ცალკე შინაარსისგან დამოუკიდებლად აღება მიუღებელია ნამდვილი მხატვრული მწერლობისთვის.

საქართველოს სახე ღვთაებად მიაჩნდა ქართულ მწერლობას, ამ ღვთაების საკურთხეველზე მსხვერპლად მიჰქონდა დამოუკიდებელი სილამაზე, ე. წ. ხელოვნება ხელოვნებისათვის, როგორც აბრაამმა, ბიბლიური გადმოცემით, მსხვერპლად მიიყვანა თავისი პირმშო თავის ღვთაების წინაშე. ეს მსხვერპლი დაუბრუნდა მხატვრულ მწერლობას და საქართველოს სახეში უკვდავ შინაარსს მიეცა უკვდავი ფორმა, „მშვენიერ სულს“ თავის თავად შეესხა მშვენიერი სისხლხორცი.

ის მშვენიერია დაუდეგრობით, მოუსვენარობით, ბრძოლისა და სიცოცხლის ნებით. ეს ნება, წარსულით შეუდრეკელი, აწმყოს „იქითა ეძიებს სადგურს“... „და უნდა ნახოს მომავალი, ახალი ღმერთი“. წარმავლობაში ის ინახავს წარუვალობას და მრავალ ჟამთა სვლაში მარადისობას.

დიდ მხატვარს შეუძლია პატარა საგანიც მნიშვნელოვან რამედ გადააქციოს, დიდი საგანი, შეიძლება უმნიშვნელო რამედ გახდეს ულონო მხატვრის ხელში. საქართველოს სახის გამოკვეთაში ჩვენი მხატვრული მწერლობის შესაძლებლობა სავსებით ეთანასწორება საგნის სიდიადეს.

აქ არის შედუღება, გაერთიანება ორი სიდიდის და ამის მაჩვენებელია ვ. რუხაძის „კოლხეთიც“. მეტად საყურადღებო მოვლენაა ეს ლექსი მიმდინარე მწერლობაში. ის უთუოდ ეკუთვნის „ზემო მხარეს“ საქართველოს პოეზიისას, ის გვიმტკიცებს, რომ ქართულ პოეზიას, როგორც მზეს... „სიკვდილი არ სჯერა“.

ამ ლექსით ჩვენ მიმდინარე მწერლობას შეუძლია სთქვას:

— ხშირად ჰქონია სხვა და სხვა
სჯულთ ჩემთან დუელი,
მაგრამ ვიცოდი აელვება დროზე
მე ხმალის“...

„დროზე აელვებაა“ ეს ლექსი, როცა გამეორებულია ისტორიული დუელი, როცა...

— უწყალო ქარიშხალმაც აორკეცა
თვისი ძალა.

ვ. რუხაძის „კოლხეთი“ თავს არ ილამაზებს სარკის წინ, მაგრამ ის ლამაზია ბუნებრივად, ის „ძვირფასი სახეა“, რომელიც ყოველთვის შეამკობს საქართველოს მხატვრული მწერლობის „ხსოვნათა ეკრანს“.

პოეზიის მეგობარი.

ადამიანი თოკია გადაჭიმული ცხოველებსა და ზეკაცს შუა, თოკი, უფსკრულის თავზე გავლებული.

სახიფათოა მეორე მხარეს გადასვლა, სახიფათოა შედგომა შუა გზაზე, სახიფათოა მიმოხედვა, სახიფათოა ყოყმანი და შეჩერება.

რაც თვალსაჩინო რამ არის ადამიანში, სწორედ ისაა, რომ იგი ხიდია და არა მიზანი: რაც რამ სათაყვანოა ადამიანში, ესაა ის, რომ იგი **გარდასვლაა და გარდახრა.**

მე ვეტრფი მათ, ვინც სხვაფრივ ცხოვრება არ უწყიან თვინიერ თავის დაღუპვისა, ვინაიდან ამ გზით გადადიან იქითა მხარეს.

მე ვეტრფი უდიდეს მოძულეებს, ვინაიდან იგინივე არიან უდიდესი მოთაყვანენი და ისარნი უმაღლეს ლტოლვათა იქითა ნაპირს სატყორცნელად.

მე ვეტრფი მათ, ვინც ვარსკვლავთა გადაღმა არ დაეძებენ მიზეზს დაღუპვისას და მსხვერპლად განწირვისას: არამედ ემსხვერპლებიან დედამიწას, რათა დედამიწა იგი ოდესმე ზეკაცმა დაიმკვიდროს.

მე ვეტრფი მას, ვინც მისთვის სცოცხლობს, რომ შეიმცნოს, ხოლო შემცნობა მისთვის უნდა, რათა ოდესმე ზეკაცმა იცხოვროს. ასე ჰსურს თავის დაღუპვა.

მე ვეტრფი მას, ვინც შრომობს და ალმოჩენათ დაეძებს, რათა თავშესაფარი აუგოს ზეკაცს, ხოლო მის შესახვედრად განამზადებს დედამიწას, ცხოველებს და მცენარეულთ. ასე ჰსურს თვისი გარდახრა.

მე ვეტრფი მას, ვისაც უყვარს სათნოება: ვინაიდან სათნოება იგი ლტოლვაა გარდახრისადმი და ისარი სულის ალეწილ წუხილისა.

მე ვეტრფი მას, ვინც თავის თავისთვის წვეთს სულისას არ დაიტოვებს, არამედ ილტვის სათნოების სულად გარდიქმნეს: ასე გადივლის სულის მზგავსად ხიდის კიდეებს.

მე ვეტრფი მას, ვინც სათნოებიდან სჭედდს თვის მიდრეკილებათ და თავის ბედს: ასე ჰსურს მას ამ სათნოებისთვის იცოცხლოს და თვინიერ მისისა არად აჩნია სხვა სიცოცხლე:

მე ვეტრფი მას, ვისაც არა ჰსურს მრავალ სათნოებით მოკაზმვა. ერთი სათნოება უმეტესი სათნოებაა, ვიდრე ოქრო, ვინაიდან იგი ის კვანძია, რომელზეც ბედი შენასკვულა.

მე ვეტრფი მას, ვისი სულიც უშურველია, არასოდეს მადლობას არ თხოულობს და არც თვით უხდის! ვინაიდან იგი მარად მწყალობელია და არ უწყის რა არის დაზოგვა.

მე ვეტრფი მას, ვისაც სცხვენიან, თუ კამათელი ბედს სთავაზობს და ვინც კითხულობს: ხომ გაიძვერა მოთამაშედ არ გადვიქეცი?—ვინაიდან იგი დაღუპვას ელტვის ამ გზით.

მე ვეტრფი მას, ვინც საქმის დაწყებამდე ოქროს სიტყვებს ააშხეფებს და გაცილებით მეტს იძლევა: ვინაიდან იგი დაღუპვას მიესწრაფვის.

მე ვეტრფი მას, ვინც გაამართლებს მომავალს და გამოიხსნის წარსულს: ვინაიდან ამ გზით ჰსურს, რომ დაჰღუპოს მთელი აწმყო.

მე ვეტრფი მას, ვინც განსჯის ღმერთს, რომელიც ფრიად უყვარდა მას: ვინაიდან მისმა ღვთაების რისხვამ უნდა გაანადგუროს იგი.

მე ვეტრფი უსაზღვრო სულს, ჭრილობაშიაც შეუდრეკელს, ვინც მცირე განცდით იღუპება: ვინაიდან მხოლოდ ასე გადივლის იგი ხიდზე.

მე ვეტრფი მას, ვისი ალსავსე სული თავდავიწყებით კიაფობს და **ყოველივეს** ითავსებს: ვინაიდან **ეს ყოველივე** იქნება მისი დამღუპველი.

მე ვეტრფი მას, ვინც მთელის არსებით თავისუფალია: ხოლო მისი თავი გულის შიგნეულს წარმოადგენს, მაგრამ გული მაინც მოუწოდებს დაღუპვისაკენ.

მე ვეტრფი ყველა მათ, ვინც ადამიანთა თავზე გადმოგრაგნილ შავი ღრუბლების მძიმე წვეთებათ ეცემიან: ისინი აუწყებენ ელვის სიახლოვეს და წინამხილველებივით იღუპებიან.

აჰათ, მე ვარ წინამხილველი იმა ელვისა და მძიმე წვეთი მგრგვინავ ღრუბლის: მაგრამ ამ ელვას ეწოდება **ზეკაცი.**

დ. კასრაძე.

პატარა ფელეტონი

ლამაზი ქსენია.

ნესტორის სარეცელს სიკვდილი მიუახლოვდა, ცელი მოუქნია და სული ამოაცალა.

სულმა ჯერ ლაჟვარდში გაინავარდა და შემდეგ ცის კარებს მიადგა.

— ვინა ხარ? გაისმა ხმა.

— მონა ღვთისა, თქვენის ნებით დედამიწიდგან აბარგული.

ცის კარები ფართედ გაიღო და ნესტორი ბედის წიგნის წინაშე გაჩერდა.

პეტრე მოციქულმა ნესტორის ცხოვრება რომ გადაიკითხა, გაიღიმა და შემდეგ მისი საქმენი მოათავსებინა სასწორზე.

ნესტორი არც წამწყმედის ღირსი შეიქნა და არც ცხონების; მაშინ მას დარიგება მისცეს და განსაწმედ მიდამოში მოათავსეს.

ნესტორი ხედავდა, რომ მისი საქმე თანდათან უმჯობესდებოდა, რადგანაც ანგელოზები მას ნდობით ეპყრობოდნენ.

ერთ დღეს ნესტორი შემთხვევით ბედის წიგნს მიუახლოვდა.

და რადგანაც იქ არავინ იყო, დაიწყო დათვალიერება... ანაზდათ უცნაური სურვილი დაებადა:

— მოდი ერთი ჩემი ცოლის, ქსენიას საქმეებს გადავიკითხავ, გაიფიქრა მან და ფურცლები აჩქარებით გადაშალა.

კითხულობდა ნესტორი თავისი ძვირფასი ცოლის ცხოვრების აღწერას და თვალებს არ უჯეროდა.

— ქსენია მეტად თვალთმაქცი ქალია—ეწერა ბედის წიგნში—ლამაზია და ხორცის სიმთვრალეს ეტანება. უყვარს ღვინო, თუთუნი და მკლავმაგარი მოარშიყენი; ქმარს თავისი პირველი საყვარელი ვასილი შვილივით შეაყვარა; ეხლა ქმრის სიკვდილის შემდეგ ორი კვირა არ გასულა, ხელი მიჰყო მისი ქონების ფლანგვას!...

ღმერთო, ამას რას ვხედავ! წამოიყვირა ნესტორმა—ქსენია მღალატობდა... ოცდა ხუთი წელი მასთან ვიცხოვრე და მისი ცდუნება არ შემიმჩნევია, ცხონება კი არა, წამწყმედის ღირსი ვყოფილვარ... მერე როგორ მეალერსებოდა... მატყუებდა... ოხ, ქალებო, ქალებო... ნესტორმა ტირილი დაიწყო. ელდანაცემივით მივიდა პეტრე მოციქულთან.

— დედამიწაზე გამიშვით!

— რისთვის?—ღიმილით დაეკითხა პეტრე.

— საქმეები მაქვს... საჭირო... საჩქარო... მიუგო ნესტორმა.

— ეგ ყოვლად დაუშვებელია!.. ცივად უთხრა პეტრემ.

— უნდა წავიდე!

პეტრემ პასუხის ნაცვლად ზურგი უბრუნა.

ამის შემდეგ ნესტორმა მოსვენება დაკარგა. ლოცვის და ვედრების ნაცვლად მღელვარებას მისცა თავი... ცოლის ღალატი მას მოსვენებას არ აძლევდა. ამ ხნის განმავლებაში მისი საქმეების გადასინჯვის დროც მოახლოვდა.

ნესტორის საქმენი სასწორზე ხელახლა მოათავსეს, ეხლა კი ცოდვამ დასძლია.

ნესტორი ჯოჯოხეთში გაგზავნეს.

ჯ. ჯორჯიკია.

ერთი ვაჟის დღიურიდან

...ვფიცავ—ეს სულ ჩემდა უნებურად ვიყურები შენს ლოჟისაკენ.

ოო, მე ხომ სასტიკათ მაქვს აკრძალული შენთან შეხვედრა. თუნდაც შემთხვევით, და ჩვენი ნაცნობობის გამომჟღავნება.

გეფიცები—მე ამას პირნათლად ვასრულებ, თუმცა ყოველ დღე ვხვდებით ერთმანეთს და დარცხვენა თვალებშიაც კი შეგეპარება ხოლმე! მე არ ვიცი რად?

ეხლა ქარიანი შემოდგომაა და შესაძლებელია პატარა კენჭები ცვივა შენს თვალში და გორაობით აწითლებენ მის თეთრ გუბეს. აი, ეხლაც მორცხვად, ქურდულად იცქირები ჩემსკენ. ოო, არა, არა! წამომცდა, შენ კი არა, გვერდით რომ ქერა ქალი გიზის, ის იყურება ჩემსკენ და მეც ვზერავ მის გამოხედვას. შენი გიშრისთმა საუცხოვოდ ასინათებს თეატრს და მეც ხომ სინათლისაკენ ვიყურები! და მეც ხომ უნებურად შენ მოგჩერებივარ?

მაგრამ მიზეზი?

შემოსვლისას მარმარილოს კიბეზე ხელთათმანი ვიპოვე—წაბლისფერზედ მთვარისფერი ღილები აკერია, მისი სახის მსგავსი. მე ამ ღილებს მწვავეთ ვაკოცე. იმიტომ რომ მთვარის კოცნა დიდი ხანია მინდა და ძლივს ველირსე!

მე ვეძებ ამ ხელთათმანის პატრონს.

ყველას ვათვალიერებ. ყველას ვაცქერდები, მაგრამ გული მეუბნება „აგერ, იმისია“.—და შენსკენ მიშვერს ისარს.

გული!

გული რომ არ არსებობდეს წინათგრძნობისათვის, ადამიანი გაცილებით თავისუფალი იქნებოდა.

ჰმ! მოგახედეს და ჩემს თავს გაცნობენ!

შენს წვრილ ტუჩებზე დაცინვა აათამაშე!

სასაცილოა! რას გვაცნობენ ერთმანეთს? რა საჭიროა უხმო კავშირის გამოაშკარავება?!

მაგრამ გახსოვს....

არა, შენ კი არა, შენს მეგობარს....

ეს იყო იქ... შორს... პატარა ბაღჩაში პატარა ხის სკამზე ვისხედით ჭანდრის ქვეშ. კარგად, სულ კარგად მახსოვს, თავი მხარზე დამადე, ხელი კისერზე გადამაჭდე და მითხარი: ეს კავშირი ჩუმი უნდა იყოს და ეს მუნ-

ჯი ურთიერთობა სიჩუმის ქორწილით გადავრაზოთ ისე... ისე რომ არავინ გაგვიგოს!

ჩემი ტუჩები შეინძრნენ, შეთამაშდნენ და ურცხვათ ეგ ნაზი, ახლად ათაიგულებული ქალწული ბაგეები ისე დაგელურჯა, როგორც მაჭრით დამთვრალ ლოთის ტუჩები.

და შეგვრცხვა უხმო ქორწილისა!

რა სასაცილონი ვიყავით!

ერთი კვირა ერთმანეთს ხმას აღარა ვცემდით, მარტო შეხვედრასაც ვერიდებოდით.

გახსოვს?

ჩემგან არ გიკვირს!

რად გეხსომება?..

ეს შენ ხომ არ იყავი. და დარწმუნებული ვარ შენი მეგობარი ამ წვრილმანს არ გეტყოდა.

რას ღელავ ლოჟაში?

იქნებ გაიგე ჩემი გულის მუნჯი თქმანი?

დამშვიდდი, ჩემო ლამაზო, ჩემო პატარა გოგონავ.

რად წახვედი!

რად გაექეცი ჩემ ქურდულათ ცქერას! იგი ხომ ვერ გასჭრის შენს გულის ალმასის სარკმელს და ვერ ჩაიხედავს შიგ—მანძილი დიდია!

გეფიცები—მე ხელთათმანის პატრონს ვეძებ. ვით უცნობს მორცხვათ გადავცემ, ბოდიშს მოვიხდი შეწუხებისათვის, თავს დაუკრავ, და ჩემს გზას გაუდგები.

ან. ღვინიაშვილი.

სურათების გამოფენა სამხედრო ტაძარში.

კვირას, მარტის 18-ს ყოფ. სამხედრო ტაძარში გაიხსნა გამოფენა რაბისის სახვითი ხელოვნების დარგის წევრთა სურათებისა. ვინც იცნობს იმ პირობებს, რომელიც საჭიროა სურათების გამოფენისათვის, წინდაწინვე დაბეჯითებით შეეძლო ეთქვა, რომ ტაძარი მისი ატრიბუტებით და მკრთალი სინათლით სრულიად შეუფერებელია გამოფენისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა მრავალ უარყოფითში. სამწუხარო ის არის, რომ თითონ ექსპონენტები ვერ მოახდენენ კარგ შთაბეჭდილებას ვერავითარ დარბაზში. ბაშინჯაღიანი, ფეოდოროვი, აკოპიანი, ხმელევსკი, ზახაროვი, სკლიფაროვსკის ქალი, ფოგელი—ეს გვარები საკმარისია, რომ საზოგადოებამ გაიხსენოს მათი სქოლასტიური ტეხნიკით შესრულებული სურათები თავისი შაბლონიური ზღვებით, მსუბუქი ნთებით, ბამბის ღრუბლებით, და კარმინით შეღებილი ტიპებით. გამოფენას აკლია უფრო ნიჭიერი მხატვრები თავიანთ წრიდან.

სხვა დროს ამ გამოფენას არ მივაქცევდით ყურადღებას, მაგრამ ეხლა—როდესაც მათ ერთად მოუყრიათ თავი, ტფილისის საზოგადოებას აქვს საშუალება დაინახოს თუ რა მდგომარეობაში იყო სახვითი ხელოვნება საქართველოში ორმოცი—ორმოცდაათი წლის განმავლობაში. რამდენი ხანია ეს მხატვრები სცხოვრობენ ტფილისში და ვერც ერთ ზემო ნახსენებ მხატვართა შემოქმედებაში ვერ ნახავთ ახალის ძიების ნაყოფს, ვერც ძიების სურვილს. ტრაფარეტული ტეხნიკა პეტროგრადისა და მიუნხენის აკადემიის შეუცვლელად შერჩათ ათეულ წლებში. გადახედეთ ფეოდოროვს: მკრთალი, ჭუჭყიანი ფერები ვოლგის ნაპირისა, ტყვიის ფერი ცა, ჭაობი და ბაცი—მწვანე—ნათლად გვიჩვენებენ, რომ ეს აკადემიაში მედლით დაჯილდოებული მხატვარი ვერ გამოსცვალა მზიანმა საქართველომ.

წარსული საუკუნის ორმოცდა ათიან წლებში რესკინი ამტკიცებდა უისტლერის წინააღმდეგ, რომ სურათის დახატვისათვის საჭირო არ არის ფერები ქოთნით შეასხა ტილოზედო. უისტლერს ეს ეპატივებოდა.—ის კოლორისტი იყო, მაგრამ ფოგელის დაუდევარი მანერა წერისა, ყველაფრის დაზეპირებული ტონით გადმოცემა: აჭარლების, სასიმიდეების, ზღვის, ბათუმის და ბაკურიანის, ისიც ათეულ წლებში, არ არის სასურველი ისეთ პატარა სამხატვრო ასპარეზზედ, როგორიც ტფილისია. აკოპიანი გასტრონომიულ მაღაზიებში ეძებს ფერებს. ყველაფერს შერუჯული, რუხვი ფერი ადევს. მისი „ევა“ მიუღებელია როგორც შინაარსით, ისე ტეხნიკით. ხმელევსკი—სენტიმენტალური, სუსტი მხატვარია. ვაპატივოთ სისუსტე მხატვრობაში. ცნობილია, რომ ქანდაკება ფორმით, სიბრტყით და სიღრმით ხასიათდება. ხმელევსკის ბიუსტი უფორმო თიხაა, ექსპრესიას მოკლებული. ზდანევიჩი ნიჭიერი მხატვარია, რომელსაც მიუხედავად ხშირი გამოფენისა, ქართულ პრესაში სწორი შეფასება არ მიუღია. ამ გამოფენაზე შედარებით სუსტი ექსპონატებით გამოდის. „ლოენგრინის“ ესკიზები კარგია, მხოლოდ სახლებს ვერ აქვს საკმარისი მასიურობა, სიმძიმე. იისფერს, წითელს და შავს ყვითელთან სჭირდება შუა ტონები გარმონიისათვის, და სხვა დამატებითი ფერები. „სტენკა რაზინი“—ნაძალადევია.

კროტკოვის წარსულს სიამოვნებით ვიგონებ... დღეს კი ეს მხატვარი ლევიტანის მიმდევარია და მის მოტივებს ვერ გასცილდებია, პორტრეტები მისი საქმე არ არის. კროტკოვის დამახასიათებელია ნაცრისფერი ეტიუდები და ქუთაისის აკვარელები. არც ვასო აბაშიძის პორტრეტი, არც №№, მამისონის უღელტეხილი და ესკიზი დეკორაციისა გულწრფელად არ არის შესრულებული...

ყველას სჯობნის ნაყოფიერი ბაშინჯაღიანი. საზოგადოდ ბაშინჯაღიანი უცნაურობის მხატვარია. მაგ. სურათი: „ფურცელი ჰიუგოდან“. სომხეთის მზისგან დამწვარ გორაკზე ტყვიის მზგავსს ზღვის პირად ზის ადგილობრივი გლეხი და მგონი თარს უკრავს. ასეთივეა კონცეპციით და ტეხნიკით „ფურცელი ვეფხვის ტყაოსნიდან“. სურათი სამი ოთხი წლის წინად ვნახეთ გამოფენაზე. ეხლა კი ავტორს ამ სურათისათვის თარიღი შეუცვლია. სურათი „აუზი ეჩმიაძინში“ დაწერილია არა ნაკლებ ექვსი წლის უკან; ის ფერებით დაბეჭდილიც იყო ჟურნალ „Солнце Россiи“-ში. საჭიროა შემდეგში „რაბისმა“ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს თავის გამოფენებს.

ზ. მამალაძე.

ქრონიკა

ოვანეს თუმანიანის გარდაცვალება.

მოსკოვში მარტის 23-ს კიბოს ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა სომეხთა ცნობილი პოეტი ოვანეს თუმანიანი. განსვენებული მეტად სპეტაკი პიროვნება იყო, ქართველთა დიდი მეგობარი და მისი კულტურის პატივისმცემელი. იგი დაიბადა სოფ. დესეღში (ლორის მაზრა) 1869 წელს. მთავრობის განკარგულებით მისი ნეშტი მოსკოვიდან გადმოსვენებული იქნება ტფილისში, საიდანაც წაასვენებენ სომხეთში და დაკრძალავენ იქაურ პანთეონში.

მწერალთა კავშირის წლიური საზოგადო კრება.

აპრილის 12-ს ხელოვანთა სასახლეში შესდგება სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის საზოგადო კრება.

გრ. რობაქიძეს საღამო.

აპრილის 15-ს საზღვარ გარეთ გამგზავრების გამო გრ. რობაქიძე რუსთაველის თეატრში გამართავს თავის საღამოს.

ჩვენი მეცნიერება.

გამოვიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებული, „ჩვენი მეცნიერება“, რომელიც მეტად საინტერესოდ არის შედგენილი.

„ელექტრა“.

შალვა დადიანმა გადასთარგმნა კლასიკური პიესა: „ელექტრა“, რომელიც კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით დაიდგმება რუსთაველის თეატრში. მანვე დასწერა ახალი სამმოქმედებიანი დრამა: „სამაია“.

სამეგრელოს მუზეუმი.

ზუგდიდში მთავართა სასახლეში მოთავსებულია მუზეუმი, სადაც მრავალი საყურადღებო ისტორიული ნაშთია დაცული.

მოძრავი ანბანი.

ივ. როსტომაშვილმა გამოიგონა მოძრავი ანბანი.

ტენორი ვაგი.

იტალიელ მომღერალ ვაგის გასტროლები უკვე დაიწყო ოპერის თეატრში. მარტის 30-ს მომღერალი გამოვა ოტელოს როლში.

ქართული კინო.

კინოს მთავარ რეჟისორს პერესტიანს გადაწყვეტილი აქვს გაზაფხულზე გადაიღოს კინო—სურათი ჩვენი პოეტების ლექსების შინაარსზე, პირველ რიგში დაიწერება სცენარი და მუსიკა აკაკის სულიკოზე და გრიშაშვილის „ზღაპარი ჰამაკზე“.

რუსული ჟურნალი „ალი“.

ახლო ხანში ტფილისში ენსლერის ინიციატივით გამოვა ყოველთვიური დიდტახიანი ჟურნალი „ალი“. ჟურნალის მიზანთაგანია ქართული კულტურის გაცნობა უცხოთათვის. პირველ ნომერში მოთავსებული იქნება ჩვენი ბელეტრისტების ნაწარმოებნი, რომლის თარგმნაც უკვე განაწილებულია ქართველ პოეტთა შორის.

„ისნის ციხკარი“.

ქართლელ-იმერელმა კინოსთვის დასწერა სცენარი ვასილ ბარნოვის მოთხრობა „ისნის ციხკარზე“. შინაარსი აღებულია აღამაჰმადხანის საქართველოში შემოსევის დროიდან.

დრამა „ბესიკი“.

ახალგაზრდა მწერალს არჩილ მაჭავარიანს, რომელიც შარშან ბრძოლის დროს უჩუმრად მიიცვალა, დარჩა დრამატიული ნაწარმოები ბესიკის ცხოვრებიდან დაწერილი. ხელთნაწერი ინახება პეტრე მირიანაშვილთან.

სარეპერტუარო კომისიისგან.

განათლების კომისარიატთან არსებულ სარეპერტუარო კომისიის ნებადაურთველად აკრძალულია ყოველნაირი თეატრალური დადგმა პიესების, ოპერების, ოპერეტების, კინო-ლენტისა, კონცერტების და სხვ.

ბლოკის „თორმეტი“.

ქუთაისში დაიბეჭდა ალ. ბლოკის თორმეტი ქართულად. თარგმანი ეკუთვნის პოეტ ვასო გორგაძეს.

სურამის ციხე მოსკოვის კინო თეატრებში

ამჟამად მოსკოვის კინო-თეატრებში მიდის დანიელ ჭონქაძის მოთხრობიდან გადაღებული სურათი „სურამის ციხე“. სურათს დიდი ინტერესი გამოუწვევია მოსკოვის საზოგადოებაში.

უცხოეთი

სარა ბერნარის გარდაცვალება.

საფრანგეთში გარდაიცვალა ცნობილი მსახიობი ქალი სარა ბერნარი.

სათეატრო მუზეუმი.

მოსკოვში არსებობს ეგრედ წოდებული სათეატრო მუზეუმი, რომელიც რევოლიუციის შემდეგ განათლების კომისარიატის განყოფილებას გადაეცა. ამ იშვიათ მუზეუმში ინახება: სათეატრო ნაშთები უძველეს დროიდან დაწყებული უკანასკნელ ხანამდე, აქ არის სურათები, რომელზედაც დახატულია ძველი ჯამბაზები, პორტრეტები, ბიუსტები, ფოტოგრაფიები, წერილები, მსახიობთა ნივთეულობა, მათი საჩუქრები მისალოცი ადრესები და გვირგვინები, ცალკე განყოფილებაში მოთავსებულია: მრავალი ბუტაფორია, ისტორიული ტანსაცმელები, გრიმები, ცნობილ მოცეკვავეთა ფეხსაცმელები (საბალეტო ტუფლები) და სხვ...

შექსპირის პორტრეტი.

ედგარ ფლოუერს აღმოუჩენია შექსპირის ნამდვილი სურათი, დახატული ფიცარზე, რომელიც ეკუთნის XVI საუკუნის მხატვრობას. ამ უკანასკნელ სურათზე შექსპირი უწვეროთ არის დახატული.

ალ. დიუმას გენეალოგია.

უკანასკნელ ხანებში ირკვევა, რომ დიუმას გვარი წარმოსდგება მისი დიდდედის სახელისგან; ეს იყო ზანგი მომუშავე ქალი, რომელიც დაუკავშირდა პლანტატორს მარკიზ დე-ლა პალიეტერს, ამ კავშირის ნაყოფი იყო დიუმას მამა, რომელმაც დაიმკვიდრა დედის სახელი გვარად. თვითონ დიუმას თავის დიდედისაგან გამოჰყვა ზანგური ტემპერამენტი, გარეგნობა, ხუჭუჭი თმები და ვნებიანი სქელი ტუჩები.

ეკრანზე.

—„ჰამლეტის“ და „ოტელოს“ გარდა, ეკრანისთვის გადაკეთებულია შექსპირის „მაკბეტი“ და „ვენეციელი ვაჭარი“.

— გერმანიაში ეკრანისთვის მზადდება სერვანტესის რომანი „დონ-კიხოტი“. სანჩოს როლს შეასრულებს—მსახიობი კრაუსს; სცენარი დაწერილია გერმანელ მწერალ განს გეინც ევერსომის მიერ.

— მზადდება „გულივერის მოგზაურობა“. ახალ ტეხნიკურ საშუალებით ეკრანზე განსახიერებული იქნება ლილიპუტები და ბუმბერაზები: იმდენად განვითარდა აგრეთვე კინოს ტეხნიკა, რომ წყალ ქვეშ ზღვის ფსკერის გადაღებაც შესაძლებელი ხდება.

სარედაქციო კოლეგია

ოპერის თეატრი
კვირას, 1 აპრილს
სილვა
დასაწყისი საღ. სრულ 8 ს.

რუსთაველის თეატრი
კვირას, 1 აპრილს
თამარ ცბიერი
დასაწყისი საღ. სრულ 8 ს.

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ,

რომ თანახმად ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ მიმდინარე წლის 9 მარტს,

დაწესებულია ერთდროული საერთო სამოქალაქო გადასახადი

რათა აღნიშნული გადასახადის საშუალებით გაძლიერდეს რესპუბლიკათა საშუალებანი საერთო სახელმწიფო საჭიროებათა და კერძოდ სწავლა-განათლების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ეს გადასახადი დაწესებულია შემდეგ ნაირად:

1. სამოქალაქო გადასახადი გადახდება ყველა შრომის უნარ მქონე მოქალაქეთ, რომლებთაც მიმდინარე წლის 1 მარტისათვის შესრულებული ექნებათ 18—60 წლამდე.

2. გადასახადიდან განთავისუფლდებიან: ა) მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს არა უმაღლეს მე-9 კატეგორიისა 17 ხარისხოვან ცხრილის მიხედვით, ბ) სამხედრო დაწესებულებათა მოსამსახურენი, რომლებიც იღებენ ჯამაგირს სამხედრო ტარიფის მიხედვით по строевому тарифу, გ) მილიციის თანამშრომელნი, რომლებიც ასრულებენ შეიარაღებულ დამცველთა სამსახურს, დ) მოსწავლენი და მსმენელნი სახელმწიფო სასწავლებლებისა და კურსებისა თუ ისინი სწავლასთან ერთად არ მსახურებენ, არ მოხელეობენ, არ მრეწველობენ და საზოგადოდ არ ეწევიან რაიმე ხიადაგ მუშაობას.

შენიშვნა: ამ პუნქტში აღნიშნული შეღავათი ვრცელდება მხოლოდ იმ მოსწავლეებზე და მსმენელებზე, რომლებიც მეცადინეობენ იმ სასწავლებლებში ან კურსებზე, სადაც სწავლა გრძელდება სამ თვეზე ზედმეტ ხანს, მოსწავლენი და მსმენელნი იმ სასწავლებლებისა ან კურსებისა, სადაც სწავლა გრძელდება სამ თვეს ან კიდევ ნაკლებ ხანს, აგრეთვე მოსწავლენი და მსმენელნი კერძო სასწავლებლისა ან კურსებისა, მიუხედავად სწავლის კურსის ვადისა, იხდიან გადასახადს საერთო წესით: ე) სრულიად შრომის უნარ მოკლებულნი ინვალიდები, რომლებთაც ინახავს სოციალური დახმარების დაწესებულება, ურთიერთ დამხმარე ორგანოები, კერძო პირნი და დაწესებულებანი; ვ) ქალები, რომლებთაც ყავთ ერთი ან მეტი ბავშვები 14 წლამდის, თუ ისინი სხვის დაუხმარებლად ეწევიან ოჯახის მოვლა-პატრონობას; ზ) დიასახლისნი, რომლებიც ემსახურებიან თავიანთ ოჯახს 5 სულის ა მეტის შემადგენლობით, ამ რიცხვში თვით დიასახლისის თახჩართვითაც.

შენიშვნა: ამ პუნქტის მიხედვით განთავისუფლებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ დიასახლისნი თვით ემსახურებოდნენ თავიანთ ოჯახს დაქირავებულ მუშა ხელის გარეშე, თ) შრომის ბირჟის რეგისტრაციაში გატარებულნი უმუშევარნი, რომლებთაც არ მოეპოებათ სახსარი ცხოვრებისათვის, ი) მიწის მუშა გლეხი, რომელსაც არა აქვს სხვა შემოსავლის წყარო და მასთან არ ყავს მუშა საქონელიც, კ) ამ მუხლში აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრნი, რომლებთაც არა აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული გადასახადისაგან განთავისუფლებული პირობები მისაღებია მხედველობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ ადგილი 1923 წლის 1 მარტისათვის.

3. გადასახადის განაკვეთები დაწესებულია ჯგუფებად (ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით) შემდეგ ნაირად: ა) იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს პერსონალურად ცხრილის გარეშე და აგრეთვე ლიტერატორთათვის და მხატვართათვის—800.000 მან., ბ) პროფესიონალურ კავშირის წევრთა მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს 17 ხარისხოვან ცხრილის მიხედვით—100.000 მან., გ) ხელოსანთა, შინამრეწველთა და სხვა წვრილ მრეწველთათვის, რომლებთაც არა ჰყავთ დაქირავებული მუშა ხელი—500.000 მან., დ) სოფლის მეურნე გლეხთათვის და სხვა პირებისათვის, რომლებიც თვით ეწევიან მიწის მუშაობას და სასოფლო მრეწველობას—200.000 მან., ა) თავისუფალ პროფესიის მოქალაქეთათვის (ექიმები, დამცველთა კოლეგიის წევრნი და აგრეთვე გამგეობას წევრნი, სახელმწიფო საწარმოოთა დირექტორები, ტეხნიკოსები, ინჟინერები და სხვ.)—10.000.000 მან.

თანახმად ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის დადგენილებისა მიმდინარე წლის 14 მარტიდან (იხილე გაზ. „ზარია ვოსტოკა“ 17 მარტიდან № 60). სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მეპატრონე და თანამფლობელთათვის (ყოველ თანამფლობელისათვის ცალკე) გადასახადის განაკვეთი დაწესებულია მათ სავაჭრო-სამრეწველოსაგან მიღებულ მოგების მიხედვით, რომელიც აღრიცხულია საგადასახადო საკრებულოს მიერ უკანასკნელად სარეწავი გადასახადით დაბეგვრის დროს, შემდეგ ნაირად: 1) იმ პირთათვის, რომლების მოგებაც აღრიცხულია არა უმეტეს 10.000.000 მანეთისა, გადასახადი—1.500.000 მანეთი; 2) იმ პირთათვის, რომლების მოგებაც აღრიცხულია 10—20 მილიონ მანეთამდე—გადასახადი—3.000.000 მანეთი; 3) იმ პირთათვის, რომლების მოგებაც აღრიცხულია 20—50 მილიონ მანეთამდე, გადასახადი—5.000.000 მანეთი და 4) იმ პირთათვის, რომლის მოგებაც აღრიცხულია 50 მილიონ მანეთზე ზედმეტი თანხით, გადასახადი—7.000.000 მანეთი. ახლად გახსნილ სავაჭრო-სამრეწველოს მეპატრონეთათვის და თანამფლობელთათვის გადასახადს აწესებს რაიონის სამოქალაქო გადასახადის კომისია იმის და მიხედვით, თუ როგორ არიან დაბეგვრილნი ამგვარივე სხვა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი, ზ) იმ პირთათვის, რომლებიც ეწევიან კომისიონერობას, ბირჟის და საკრედიტო ოპერაციებს კანტორის უქონლად, აგრეთვე იმ პირთათვის, რომლებიც არ ეწევიან არავითარ განსაზღვრულ ხელობას და მასთან არ არიან გატარებულნი რეგისტრაციაში შრომის ბირჟაზე—10.000.000 მანეთი. სხვა დანარჩენ მოქალაქეთათვის 200,000 მან.

4. ის გადამხდელები, რომლებიც თავიანთი მდგომარეობით ეკუთვნიან ამ ცხრილის სხვა და სხვა ჯგუფებს, დაიბეგვრებიან უმაღლესი ჯგუფის მიხედვით.

5. ოჯახის წევრნი, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახის უფროსთან ერთად, გადაიხდიან ოჯახის უფროსზე შეწერილ გადასახადის ნახევარს თუ თვითონ მათ არ ეკუთვნით ზედმეტი გადასახადი.

6. გადასახადი უნდა იქნეს გადახდილი ქალაქებში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 მაისისა, ხოლო სოფლებში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ივნისისა.

7. ვადაზე შეუტანელი გადასახადი გადაირიცხება ნარჩენში და აკრეფილი იქნება საერთო წესით; ამასთან დასაშვებია დაუყოვნებლივ იძულებითი გადახდევინების საშუალებათა მიღება, **ამ გადასახადს პირველ თვეში დაწესებულ ვადის გასვლის შემდეგ დაერიცხება ჯარიმა 100 პროცენტი, ხოლო მეორე თვეში კი—200 პროცენტი.**

8. გადასახადის თავის დროზე შეუტანლობისათვის პასუხისგება ეკისრება თვით გადამხდელს და მოეხსნება მათ მხოლოდ კვიტანციის წარმოდგენის შემდეგ გადასახადის სრულად შეტანაში, გარდა იმ პირთა, რომლებიც აღნუსხულია ამ განცხადების მე-10 მუხლის შენიშვნაში.

9. სამოქალაქო გადასახადის გატარებას განაგებს ა. კ. ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის პირდაპირ გადასახადთა განყოფილება, ხოლო მის ასრულებას რაიონის საგადასახადო განყოფილებათა გამგენი.

10. გადამხდელთა სიის შედგენა: ა) იმ მუშა-მოსამსახურეთა სიებს, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო დაწესებულებაში და საწარმოოებში, აგრეთვე კერძო ქარხანებში და ფაბრიკებში, სადაც არიან საქარხნო საფაბრიკო კომიტეტები, ადგენს დაწესებულების ადმინისტრაცია ორ ეკზემპლიარად და უგზავნის იმ რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგეს, რომლის რაიონშიც არის მოთავსებული თვით დაწესებულება.

შენიშვნა: ყოველივე პასუხისგება ამ მუხლში აღნიშნულ გადამხდელებისაგან გადასახადის თავის დროზე შეუტანლობისათვის, ეკისრება დაწესებულების ადმინისტრაციას. ბ) ქალაქებში და ქალაქის ადგილებში სიების შედგენა ევალება სახლის მეპატრონეთ, გამგეთ, ან მათ მოადგილეთ. **თავის დროზე სიების წარუდგენლობისათვის, აღნიშნულნი პირნი დაჯარიმებულ იქნებიან არა უმეტეს 25.000.000 მანეთის ა. კ. ფულის ნიშნებით.**

შენიშვნა: მეპატრონენი იმ სახლებისა, რომლებიც დანიშნულია გადასახადისაგან განთავისუფლებელ პირების საცხოვრებლად, (წითელ არმიელთა ყაზარმები, მოსწავლენი სახელმწიფო სასწავლებლებში) სიებს აღარ ადგენენ: გ) სოფლებში სიების შედგენა ევალებათ თემთა აღმასრულებელ კომიტეტებს, რომლებიც ამ შემთხვევაში სარგებლობენ საოჯახო, სასურსათო გადასახადის, სანიტარულ გადასახადის და სხვა ამ გვარი სიებით.

11. გადამხდელთა სიებში უნდა იქნეს აღნიშნული შემდეგი ცნობები: ა) გვარი, სახელი და მამის სახელი გადამხდელისა. ბ) საცხოვრებელი ადგილი; გ) წლოვანება; დ) ხელობის მიმდევრობა. დაწესებულებათა და საწარმოოთა სიებში მუშა-მოსამსახურეთა შესახებ უნდა აღინიშნოს, რომელ კატეგორიით იღებს გადამხდელი ჯამაგირს 17 ხარისხოვან ცხრილის მიხედვით, ან რაოდენობა ჯამაგირისა იმ მოხელეებისა, რომლებიც იღებენ ასეთს ცხრილის გარეშე.

12. ქალაქებში გადამხდელთა სია უნდა წარედგინოს სათანადო რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 აპრილისა, ხოლო სოფლებში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 მაისისა.

13. ბლანკების და სიების ფორმების მისაღებად, აგრეთვე დაწვრილებითი განმარტებისათვის გადასახადის აკრეფის და მისი ხაზინაში შეტანის შესახებ, ყველა დაწესებულებებმა, სახლის მეპატრონეებმა და თვით გადამხდელებმა უნდა მიმართონ სათანადო რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგეს. საჭირო ბლანკებს, ფორმებს და წესდებას დაწესებულებანი მიიღებენ აგრეთვე ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარის საქართველოში რწმუნებულის სამართველოს პირდაპირ გადასახადთა განყოფილებაში.

ა. კ. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში. **ბ. ბიბინეიშვილი.**

პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე **ბეჟირგანიშვილი.**

ს. მ. ს. უ. ს. პოლიგრაფიული განყოფ. 1-ლი სტამბა, პლეხანოვის ქ. № 91. ნებადართულია ლიტერატურის და გამომცემლობის მთავ. მართველობის მიერ № 167. ტირაჟი 1400